# საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბეჭდვის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ხუთშაბათი, 28 იანვარი. 2016 წ. №16 (7908), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!...

## ბოროტი სიცრუის ჟანგიანი ანკესი

არირი – სითბოსთვის და არა მოსაწამლად!



როგორც ჩანს, ერთი ავადგაეძს-პერტებული, გაზმოწოლილი რომან გოცირიძე აზერბაიჯანშიც ჰყოლიათ. ②

⑤

## რატომ უყეფენ პატრიარქს ფიფქიას დედინაცვალი და მეფალოსე ზაზა?

გულს სიხარული აცოცხლებს!

⑫

## ერის სიმხნევის წყარო

## მოახდენს თუ არა უკრაინა სააკაშვილის ექსტრადირებას?

⑥

ლია ელიავა:

## საქართველოში კრიზისი მანამ გაგრძელდება, სანამ მთავრობა მონოპოლიებს არ შეებრძოლება!

③

როდემდე, ჰაოს?

## ვაი ასეთ ძმობა-მეგობრობას

ამ დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოკუპირებულ ტერიტორიასთან დაკავშირებული მორიგი პროვოკაცია აღკვეთა.

⑩

⑦

## ფინელ ბავშვებს არ სძულთ სკოლა!

## „განკითხვის დღის საათები“ ძველებურად უჩვენებენ, რომ ბირთვულ კატასტროფას 3 წუთი უკლია...

ფიზიკოსებმა – ბირთვული დარგის სპეციალისტებმა არ შეცვალეს ისრების მდგომარეობა, რომლებიც ითვლებიან საერთაშორისო დაძაბულობის ინდიკატორად. მათი აზრით, ვითარება მსოფლიოში კვლავ მეტად შემაშფოთებელია – გლობალურ კატაკლიზმს აახლოებს დაპირისპირება რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, აგრეთვე ბირთვული იარაღის გამოცდები კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში და კლიმატის დათბობა.

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.498; ევრო - 2.706;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.548;
100 რუბლი - 3.126; თურქული ლირა - 0.827;
აზერბაიჯანული მანათი - 1.552;
1000 სომხური დრამი - 5.136

### ამინდი 28 იანვრისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთ საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -10, | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -19, | დღე 0 |
| **დასავლეთ საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -5, | დღე +7 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -8, | დღე +3 |
| თბილისი: | ღამე -8, | დღე +3 |


### ჩვენი მისამართია:

თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

# ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡ ᲟᲐᲜᲒᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲙᲔᲡᲘ

**ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ, ᲐᲜᲣ ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡᲐᲓ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲘᲛᲐᲜᲝ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲒᲠᲔᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ ᲔᲚᲮᲐᲜ ᲐᲚᲔᲡᲙᲔᲠᲝᲕᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲜ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡ, ᲐᲜ ᲐᲬ ᲒᲐᲒᲘᲠᲩᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲝᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ, ᲐᲜᲓᲐ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲬᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲨᲤᲐᲜᲓᲣᲠᲔ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲘᲡ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲜᲝᲛᲘᲐ. ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ ᲐᲡᲔ ᲔᲠᲗᲘ-ᲔᲠᲗᲨᲘ ᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲓᲔᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲐᲡᲔ ᲔᲠᲗᲘ-ᲔᲠᲗᲨᲘ „ᲒᲐᲖᲐᲕᲓᲔᲡ“ ᲔᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲐᲚᲔᲡᲙᲔᲠᲝᲕᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ.**

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ, ᲡᲐᲦᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ �თᲣ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲣᲭᲘᲠᲗ (ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲣᲭᲘᲠᲓᲐᲗ!) ᲙᲐᲠᲒᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲛᲣᲥᲗᲐ ᲤᲣᲚᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲝᲑᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲕᲐᲘᲜᲘᲐᲙᲐᲚᲛᲐᲠᲘᲗᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘᲗ ᲑᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲐᲖᲠᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ, ᲘᲡᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡ ᲟᲐᲜᲒᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲙᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲗ, ᲕᲘᲗᲝᲛᲝ ᲐᲒᲔᲠ ᲡᲐᲛᲔᲖᲝᲛᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲜᲐᲧᲘᲓᲘ ᲒᲐᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲝᲚᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲰᲐᲜᲒᲖᲔ ᲐᲭᲘᲙᲭᲘᲙᲔᲑᲐ?! ᲐᲠᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲐᲠᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲡᲙᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲭᲘᲠᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲒᲐᲬᲐᲤᲣᲚᲔᲑᲡ!**

**ᲑᲔᲕᲠᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲚᲝᲑᲘᲡᲢᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ (ZIC!) 24 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲒᲘᲒᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ ᲠᲐᲢᲝᲛᲪᲐᲪ ᲨᲔᲐᲢᲧᲐᲞᲣᲜᲔᲑᲘᲜᲐ... ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲨᲔᲢᲧᲐᲞᲣᲜᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲝᲛᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲛᲐ ᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐᲠᲛᲐ ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐᲛᲐ ᲩᲐᲐᲒᲓᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲐᲕᲧᲘᲐᲗᲐ ᲐᲕ ᲧᲒᲐᲨᲘ.**

**ᲔᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲔᲚᲮᲐᲜ ᲐᲚᲔᲡᲙᲔᲠᲝᲕᲘᲪ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲐᲛ ᲐᲕᲧᲘᲐᲗᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲐᲕᲧᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲣᲚᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲢᲐᲠᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲡᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘᲐ, ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲡᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲖᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.**

**ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲗᲣ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲗᲐᲜ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲒᲐᲖᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ, ᲛᲐᲨ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲪᲮᲐᲓᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲗᲥᲕᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲐᲚᲣᲚᲐᲓ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ „ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲗᲐᲜ“ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ?**

**ᲗᲣ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲔᲑᲗ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲣᲭᲘᲠᲗ (ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲣᲭᲘᲠᲓᲐᲗ!) ᲙᲐᲠᲒᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲛᲣᲥᲗᲐ ᲤᲣᲚᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲝᲑᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲕᲐᲘᲜᲘᲐᲙᲐᲚᲛᲐᲠᲘᲗᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘᲗ ᲑᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲐᲖᲠᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ, ᲘᲡᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲡᲣᲠᲡ, ᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲰᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲝᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲐᲘᲫᲣᲚᲝᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲓᲐᲡᲬᲘᲝᲡ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ „ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲗᲐᲜ“ – ᲔᲡ ᲘᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ: ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲔᲚᲘᲪᲗᲐᲛ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲘᲦᲝ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲔᲫᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲬᲧᲓᲐ.**

**2016 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲗᲮ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲡᲣᲚ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ 2012 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲛᲐ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲝ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲖᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ – ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲗᲔᲑᲡ...**

**ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚ ᲐᲑᲓᲐᲣᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ? ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚ ᲐᲑᲓᲐᲣᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ? ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲕᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲘᲦᲝ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲔᲫᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲬᲧᲓᲐ.**

**2016 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲖᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ (2017 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ 82%-Ს ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲡ).**

**ᲒᲐᲜᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ „ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ? ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲖᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ – ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ...**

**ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚ ᲐᲑᲓᲐᲣᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ? ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲕᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲘᲦᲝ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲔᲫᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲬᲧᲓᲐ.**

**2016 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲖᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ (2017 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ 82%-Ს ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲡ).**

**ᲒᲐᲜᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ „ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ? ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲖᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ – ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ...**

**ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚ ᲐᲑᲓᲐᲣᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ? ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲕᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲘᲦᲝ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲔᲫᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲬᲧᲓᲐ.**

**ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲗᲠᲔᲜᲓᲘ“ ᲐᲫᲕᲔᲛᲜᲔᲑᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ „ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘᲗᲐᲜ“ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ.**

**ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲜᲘᲣᲡᲠᲔᲡᲘ“ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ:**

ᲔᲜᲔᲠ�გᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲐᲦᲛᲝᲩᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ Შ

# ლია ელიავა: საქართველოში კრიზისი მანამ გაგრძელდება, სანამ მთავრობა მონოპოლიებს არ შეებრძოლება!

**„ინვერიონს“ ლარის კურსის კატასტროფულ ვარდნასა და მოსალოდნელ სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისზე ექსპერტი ფულად-საკრედიტო საკითხებში ლია ელიავა ესაუბრა.**

**— დღეს მთელი საქართველო ლარის კურსის კატასტროფულ დაცემაზე საუბრობს. ზოგიერთი ამას მეზობელ ქვეყნებში, ზოგადად კი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით ხსნის. ხოლო, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ხელს საქართველოს მთავრობისკენ იშვერს და აცხადებს, რომ მთავრობამ, კონკრეტულად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, არაფერი გააკეთეს ლარის კურსის სტაბილიზაციისათვის... როგორია თქვენი კომენტარი?!**

— ჩემი პოზიცია ამ ორ ჩამოყალიბებულ ტენდენციას შორის ნაწილდება. რა თქმა უნდა, ეს არის ზეგავლენა გარედან და ადგილობრივი მონეტარული ხელისუფლების უმოქმედობაც.

რაც შეეხება ზეგავლენას გარედან, ეს არის პანიკური განწყობები, რომლებიც, პირველ რიგში, გადმოედო საქართველოს ბიზნესმენებს და შემდგომ მოსახლეობას. ეს პანიკური განწყობები განპირობებულია იმით, რომ ბიზნესმენებს სურთ თავიანთი კაპიტალის დაცვა და ამიტომაც, მათ ეს კაპიტალი საქართველოდან გააქვთ, ეს კი ჩვენთან სავალუტო კურსის ვარდნის მიზეზია, ანუ ამ პროცესს სხვა ეკონომიკური საფუძველი არ გააჩნია.

კურსის ვარდნის შედეგად პანიკა გადაეცემა მოსახლეობას, რომელიც ასევე ცდილობს, დაიცვას თავისი კაპიტალი და გადაიყვანოს ლარი დოლარებში. აქედან გამომდინარე, ლარის გაუფასურების პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება!..

რაც შეეხება, შიდა ფაქტორებს, რასაკვირველია, უკვე რამდენიმე თვეა ლარი მიტოვებულია „უპატრონოდ“ დაწყებული 2014 წლის ნოემბრიდან და რატომ? — იმიტომ, რომ „ეროვნულ ბანკს“ არ გააჩნია სავალუტო პოლიტიკა და არა აქვს გეგმა იმისა, თუ როგორ შეუწყოს ხელი ლარის მეტ-ნაკლებ სიმყარეს, თუმცა, კანონით მას ეს ევალება.

ბოლო ხანებში „ეროვნული ბანკი“ ახორციელებდა წვრილ-წვრილ ინტერვენციებს, რამაც ხელი შეუწყო ლარის მეტ-ნაკლებ სტაბილურობას და მისი რყევის ამპლიტუდის სიმტკიცეს. თუ „ეროვნულმა ბანკმა“ არ გააგრძელა სავალუტო ინტერვენციები, ჩვენ გვექნება ისეთი სავალუტო კრიზისი , როგორიც გვქონდა 2015 წელს. აქ ყველაფერი დამოკიდებულია „ეროვნულ ბანკზე“ თუ როგორ იმოქმედებს ის ეროვნული ვალუტის მხარდასაჭერად!

რაც შეეხება მთავრობას, მას არ გააჩნია ეროვნულ ვალუტაზე ზემოქმედების ბერკეტები, გარდა ერთისა, ფსიქოლოგიურისა- მოსახლეობა დაარწმუნოს იმაში, რომ ყველაფერი კარგად არის. თუ ის ამას შეძლებს, ეს იქნება მისი საოცარი წარმატება!

ასე, რომ ყველა ბერკეტი „ეროვნული ბანკის“ ხელშია!

**— ქართველ ექსპერტთა უმეტესობა ლარის კურსის გაუფასურებას საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის დაცემით ხსნის.**

**რამდენად სწორია ეს ფორმულირება, შეიძლება თუ არა ეროვნული ვალუტის კურსის მაქსიმალურ ნიშნულამდე დაცემა მხოლოდ ნავთობს გადავაბრალოთ?**

— ეს არის ლარის კურსზე ირიბი, არაპირდაპირი ზეწოლა, თორემ ჩვენი ეკონომიკა არანაირად არ არის დამოკიდებული ნავთობის ფასის რყევაზე, ვინაიდან, ჩვენ არ ვართ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანა. თუმცა, როდესაც სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს მძიმე პროცესები, იქაური ბიზნესმენები ყოველთვის ცდილობენ (რომლებსაც საქართველოში ჩადებული აქვთ ფული), წაიღონ ეს ფული თავის ქვეყანაში და საკუთარი კაპიტალის გადარჩენას მოახმარონ. ანუ, საქართველოდან გაედინება კაპიტალი, იმის გამო, რომ სხვა ქვეყნებში ვალუტის მერყეობა განპირობებულია ნავთობის ფასის ვარდნით.

თუმცა, აქვე მინდა დავამატო, რომ სულ ახლახან, ევროპული ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა მარიო დრაგემ განაცხადა, რომ ის დახარჯავს მაქსიმალურ თანხას იმისთვის, რათა ევროპული ეკონომიკა გამოაცოცხლოს. შესაბამისად, ეს ნიშნავს ნავთობის მოთხოვნილების ზრდას და ბაზრებმა უკვე მოახდინეს რეაგირება მარიო დრაგეს სიტყვებზე- ერთი ბარელი ნავთობის ფასი 32 დოლარამდე გაიზარდა. ანუ, არ არის გამორიცხული, ნავთობის ფასმა დაიწყოს ზრდა და შესაბამისად, ლარის კურსზე ზეწოლა ნაკლები გახდეს!

**— მაშინ, როცა მსოფლიოში ნავთობის ფასი მაქსიმალურ ნიშნულამდე დაეცა, საქართველოში ბენზინზე და ნავთობის სხვა პროდუქტებზე ფასი თითქმის არ შეცვლილა.**

**ხომ არ უწყობს ხელს მთავრობა საქართველოში ბიზნესის კრიმინალიზაციას?**

— პირდაპირ გეტყვით, მთავრობა ხელს არ უწყობს საქართველოში ბიზნესის კრიმინალიზაციას, მაგრამ მთავრობას ამჟამად გააჩნია ძალიან ცოტა ბერკეტი იმისთვის, რომ მან ქვეყანაში არსებული მონოპოლიების საქმიანობა გააკონტროლოს.

**ის, რომ ფასი არ ვარდება ნავთობის პროდუქტებზე, ეს შედეგია იმისა, რომ ქვეყანაში ეკონომიკა არის მაღალმონოპოლიზირებული. თვით ეკონომიკის თითოეულ სექტორში, რამდენიმე მონოპოლია, პრაქტიკულად, კარნახობს ფასს. აი, სწორედ ამ მონოპოლიებთან ბრძოლაა აუცილებელი და საჭირო, მთავრობამ მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი უნდა აამოქმედოს ამ ხელოვნური მონოპოლიების მოსასპობად. სხვა შემთხვევაში ჩვენთან ყოველთვის მაღალი ფასები იქნება და არა მარტო საწვავზე!**

ესაუბრა
**მედეა შელია**

◎ მსოფლიო ფინანსურ კრიზისშია!

# „შავი ოქროს“ მოტანილი „შავი დღეები“

**აზერბაიჯანში სერიოზული სავალუტო კრიზისია: მარტო ერთ დღეში ეროვნული ვალუტა — მანათი, თითქმის 50 პროცენტით გაუფასურდა, რამაც ეკონომიკასაც და მოსახლეობასაც უდიდესი ზარალი მიაყენა.**

ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა ამასთან დაკავშირებით ვალუტის გადამცვლელი პატარ-პატარა პუნქტების დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. ამჟამად ვალუტის მანათებზე გადაცვლა მხოლოდ კომერციულ ბანკებშია შესაძლებელი, გამონაკლისს მხოლოდ ტურისტული ობიექტები, სასტუმროები და აეროპორტები წარმოადგენენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება აზერბაიჯანის ცენტრალურმა ბანკმა ვალუტის გაცვლის ოპერაციების უაღრესი მომრავლების გამო და, როგორც მის ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, „კომერციული ბანკების ოპერაციების ეფექტიანობის, სავალუტო ოპერაციებზე კონტროლის გაძლიერებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით იქნა მიღებული“.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ აზერბაიჯანში სავალუტო კრიზისთან დაკავშირებით ხარჯების ოპტიმიზაციის გადაწყვეტილება სახელმწიფო დონეზეც ხორციელდება. კერძოდ, სახელმწიფო კომპანია „სოკარის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სათაო სტრუქტურაშიც და მის ფილიალებშიც ხარჯების შემცირება მოხდება, რაც სატრანსპორტო, საოფისე, საშტატო, ასევე საქველმოქმედო და სასპონსორო სფეროებს შეეხება.

აზერბაიჯანში უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა მას შემდეგ გაიზარდა, რაც დეკემბრის მიწურულს ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა დოლარის ფიქსირებული ფასის სანაცვლოდ, ეგრეთ წოდებული „მცურავი კურსი“ შემოიღო, რასაც უმალ მის მიმართ მანათის 48-პროცენტიანი დევალვაცია მოჰყვა. ამას, ცხადია, დოლარის დეფიციტი და მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია, რამაც კომბანკების გაცვლის სალაროებთან უზარმაზარი რიგები წარმოშვა. შედეგად, აზერბაიჯანში იმპორტული საქონელი გაძვირდა, მასზე მოთხოვნა კი შემცირდა.

აზერბაიჯანის სავალუტო ბაზარზე განვითარებულმა მოვლენებმა, ცხადია, საქართველოშიც ჰპოვა გამოძახილი, რადგან ეს ჩვენი უახლოესი მეზობელი ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორია. თვალსაჩინოებისთვის შემდეგი ციფრების მოყვანა შეიძლება: აზერბაიჯანში საქართველოს ექსპორტის მთლიანი მოცულობის 11 პროცენტი გადის, რაც რუსეთსა და სომხეთში გატანილ საქონელზე ერთიანად მეტია. არადა, ჩვენი პროდუქციის ყველაზე დიდი ექსპორტიორი სწორედ ეს სამი ქვეყანაა.

გარდა ამისა, აზერბაიჯანის სავალუტო კრიზისი უარყოფითად აისახა საქართველოს ზამთრის კურორტებზე ამ ქვეყნის ვიზიტიორთა წლევანდელ ოდენობაზეც, თუმცა კი, წინა წლებში მათი რიცხოვნობა სხვა უცხოელ ტურისტებზე გაცილებით მეტი იყო.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანული მანათის გარდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვა ქვეყნების ეროვნული ვალუტებიც გაუფასურდა. ჩვენებურ ლარზე ლაპარაკი ამ ჯერზე არ გვექნება, რადგან ამის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. ამის გარდა, ყველაზე მეტად შარშან **ყაზახური ტენგე, ბელარუსული რუბლი და უკრაინული გრივნა გაუფასურდა. წლის მანძილზე ტენგე 85 პროცენტით, რუბლი — 54 პროცენტით, ხოლო გრივნა 49 პროცენტით გაუფასურდა.**

ცალკე საკითხია **რუსული რუბლის** კურსის ვარდნა, რომელმაც ამ დღეებში რეკორდული მინიმუმის დონეს მიაღწია. აღნიშნულ პროცესის მიზეზთა შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია რუსეთის მიმართ დასავლეთის ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციები, ნახშირწყალბადებზე მსოფლიო ფასის უკიდურესი კლება, ექსპორტის შემცირება, კაპიტალის გადინება, მრავალი სხვა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური მიზეზი.

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, ნავთობზე ფასების კლება ყველაზე უარყოფითად **ნორვეგიულ კრონაზე** აისახა, ყველაზე სტაბილურ ვალუტად კი კონტინენტზე, ტრადიციულად, **შვეიცარიული ფრანკი** და **ბრიტანული გირვანქა სტერლინგი** დარჩნენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ შინ და გარეთ

## აიკრძალება თუ არა სესხების დოლარში გაცემა?

**ეკონომიკის** მინისტრი გავრცელებულ ინფორმაციას ბანკებისთვის დოლარში სესხების აკრძალვის თაობაზე კონკრეტულ პასუხს თავს არიდებს. მისი თქმით, ასეთი გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ჩართულობით ეროვნული ბანკის პრეროგატივაა. თუმცა, კონკრეტული პასუხის გაცემა მინისტრ ქუმსიშვილს დღეს არ სურს.

„დოლარში გაცემული სესხების აკრძალვა ძალიან ძნელად წარმომიდგენია. ჩვენი ამოცანაა, რომ ბანკებს გავუჩინოთ სახსრები ლარში. აიკრძალება თუ არ აიკრძალება სამომხმარებლო სესხების დოლარში გაცემა, ამაზე პასუხს დღეს არ გაგცემთ,“ — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

## თურქმენეთი საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტს ზრდის

**თურქმენეთი** შავი ზღვისპირეთში ლოგისტიკური ცენტრის პროექტის განხორციელებით არის დაინტერესებული, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და თურქმენეთის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურიურთიერთობების მინისტრ ბაიარ აბაევის შეხვედრაზე აღინიშნა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამ საკითხზე მოლაპარაკებები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მიმდინარეობს. ასევე, თურქმენეთი საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტის გაზრდას გეგმავს. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას საუბარი სატრანსპორტო დერეფნის განვითარებასა და ტვირთბრუნვის ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებსაც შეეხო.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში, ეკონომიკური საბჭოს მდივანი გიორგი გახარია და საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე დაესწრნენ.

## საქართველო მადრიდის საერთაშორისო გამოფენაზე

**ეკონომიკისა** და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ესპანეთის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

მადრიდში FITUR -2016-ზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად 8 ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი. გამოფენას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დაესწრო.

გიორგი ჩოგოვაძემ საერთაშორისო ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული გამოფენა 20-24 იანვარს ჩატარდა. გამოფენაზე 160-ზე მეტი სახელმწიფოდან 9 ათასზე მეტი კომპანია იყო წარმოდგენილი. FITUR -2016-ს 100 ათასზე მეტი დამთვალიერებელი დაესწრო. გამოფენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან 7 ათასზე მეტი ჟურნალისტი აშუქებდა. მადრიდის გამოფენას ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრებიც დაესწრნენ.

ХО-ЭОВ-ЕНО, МЕДИАНЕОШО

# ასე ღარიბ-ღატაკს ნატოში არ მიგვიღებენ!

**აშშ-ს ყოფილი ელჩი საქართველოში: თქვენთან შესაძლებელი უნდა იყოს მინის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება და გირაოში გაყიდვა**

**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ორიოდე კვირის წინათ საქართველოში აშშ-ისა და ევროკავშირის ყოფილმა ელჩებმა ამერიკულ პრესაში (U.S. News & World Report-ში) ერთობლივი წერილი გამოაქვეყნეს, სადაც დასავლეთს მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ, საქართველოს ახალ მთავრობას კი რიგი ნაბიჯების გადადგმას თხოვენ, რათა დაიძლიოს უმთავრესი გამოწვევები და ქვეყანაში განმტკიცდეს სტაბილურობა, ეკონომიკური სიჯანსაღე, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი და პოლიტიკური გარემო.**

**რადიოსადგურმა „ამერიკის ხმამ“ ერთ-ერთ ავტორს, აშშ-ის ყოფილ ელჩს საქართველოში უილიამ კორტნის ამ ვალდებულებებისა და დახმარების ფორმულირების დაზუსტება, ასევე საქართველოს მთავრობის მხრიდან გასატარებელი ნაბიჯებისა და დასავლეთში ჩამოყალიბებული აღქმების ანალიზი თხოვა:**

**— რა არის ახალი პრემიერ-მინისტრის მთავარი გამოწვევა მთავრობის რეფორმირებისა და ეკონომიკის გაჯანსაღების მიმართულებით?**

— ახალი პრემიერ-მინისტრი ორი გამოწვევის წინაშე დგას — განამტკიცოს კანონის უზენაესობა და მოიზიდოს მეტი ინვესტიცია, რათა ეკონომიკა გაიზარდოს. კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით, დასავლეთში არსებობს აღქმა, რომ ყოფილი მთავრობის წევრების მიმართ გამოიყენება შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური ანგარიშსწორება. ეს გარემოება დასავლეთის თვალში ზიანს აყენებს ქართულ დემოკრატიას. საქართველომ ბევრი სხვა მიმართულებით შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. მიგვაჩნია, რომ კანონის უზენაესობის გაძლიერება საქართველოს მთავრობას შინ მეტ ლეგიტიმურობას შესძენს, საზღვარგარეთ კი აამაღლებს ქვეყნის რეპუტაციას. ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია, დაინახონ, რომ შეუძლიათ კანონის უზენაესობის იმედი ჰქონდეთ, როდესაც საქართველოში ფულს ჩადებენ. თუ ნახეს, რომ მართლმსაჯულება შერჩევითი ხასიათისაა და პოლიტიკურადაა მოტივირებული, ინვესტორების ნდობა შემცირდება. მათ უნდა იცოდნენ, რომ პრობლემების შემთხვევაში, კანონის უზენაესობა დაიცავთ.

**— თქვენ, ბოლო წერილში საქართველოს შესახებ, მთავრობის მხრიდან რეალისტური, თანმიმდევრული ნაბიჯების გატარების აუცილებლობაზე საუბრობთ ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად, რას გულისხმობდით ამ დროს?**

— უმთავრესია საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება. ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს დღევანდელი შემოსავალი ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონესთან შედარებით საკმაოდ მცირეა. დაბალი შემოსავლის ერთი მიზეზია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური რისკი. შიშობენ, რომ რუსეთმა, შესაძლოა, სხვა აგრესიული ნაბიჯებიც გადადგას. მაგრამ პრობლემის უმთავრესი მიზეზია აღქმა, რომ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს კომერციული და პოლიტიკური ხასიათის საფრთხეები შეიძლება დაემუქროს. საჭიროა ამ ვითარების გამოსწორება. მაგალითისათვის ავიღოთ მიწა. შესაძლებელი უნდა იყოს მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება და გირაოში გაყიდვა ისეთი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, რომელიც ბევრწილად სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული. საქართველოს მდიდარი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი გააჩნია. მიწის რეფორმის შემთხვევაში ის ბევრად უფრო პროდუქტიული შეიძლება იყოს. მნიშვნელოვანია სხვა ნაბიჯებიც, მათ შორის, კანონის უზენაესობისკენ გადადგმული ნაბიჯები, რომელიც საინვესტიციო კლიმატს გააუმჯობესებს.

**— სხვა მეგობარ ელჩებთან ერთად, თქვენ საგარეო საფრთხეებზეც ისაუბრეთ ბოლო წერილში. და მაინც, რუსეთიდან მოსავალი საფრთხეების ფონზე, რა მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების გადაცემას, როგორც თქვენ გააჟღერეთ? ასევე, ქვეყნის შეიარაღებული ძალების წვრთნის გაგრძელებას? და კიდევ რისი გაკეთება შეუძლია დასავლეთს რეგიონის ქვეყნების დასახმარებლად?**

— საქართველოს შეიძლება დაემუქროს ის, რაც რუსეთმა ყირიმში გააკეთა. ვგულისხმობ ტერიტორიის მოულოდნელ დასაკუთრებასა და ანექსიას, აგრეთვე აღმოსავლეთ უკრაინაში შეჭრას. ჩნდება კითხვები: გააგრძელებს თუ არა რუსეთი აქტიურობას და შეუქმნის თუ არა სხვა მეზობლებს სამხედრო საფრთხეს? საქართველო ერთ-ერთი ამ მეზობელთაგანია. საქართველოს უსაფრთხოების ასამაღლებლად, ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაძლიერება მთავარი ამოცანა უნდა იყოს. დასავლეთს შეუძლია, მიაწოდოს საქართველოს თავდაცვითი შეიარაღება, მაგრამ მას ეს ჯერ არ გაუკეთებია და არც უკრაინისთვის მიუწოდებია იარაღი. უკრაინაც და საქართველოც იმსახურებენ ამგვარ დახმარებას. დასავლეთის დახმარებას, შეუძლია, ამ ქვეყნებს თავიდან ააცილოს აგრესია, რადგან აგრესორს მეზობლებზე თავდასხმის შემთხვევაში გაცილებით დიდი ფასის გადახდა მოუწევს.

**— რა შეიცვალა საქართველოსთვის მონტენეგროს ნატოში მიწვევით? იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება სიგნალი საქართველოსთვის, რათა ის ვარშავის სამიტზე ასეთივე აღიარებისთვის მოემზადოს?**

— საქართველოსათვის ახლო მომავალში ნატოს წევრობა შეუძლებლად მოჩანს რამდენიმე მიზეზის გამო. საქართველო ჯერ კიდევ შედარებით ღარიბია. ერთ სულ მოსახლეზე მისი შემოსავალი ბულგარეთის შემოსავალზე ორჯერ ნაკლებია. ბულგარეთი კი ნატოს უღარიბესი წევრია. ეკონომიკური რეფორმები და ეკონომიკური ზრდა გადამწყვეტია საქართველოს მისწრაფებისთვის, რათა ნატოს წევრი გახდეს. მეორე მიზეზი ისაა, რომ ნატოს ქვეყნებს ალიანსში უკვე მიღებული ახალი წევრების ინტეგრაცია ჯერ არ დაუსრულებიათ. ნატო ფოკუსირებულია ბალტიის ქვეყნების დაცვაზე შესაძლო საფრთხეებისგან. ვფიქრობ, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ნატოს ყურადღება მისი წევრების უსაფრთხოებაზე იქნება გადატანილი.

**— ამ კონტექსტში, რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ დასავლეთთან თანამშრომლობის განსამტკიცებლად და მეტი ნდობის მოსაპოვებლად?**

— უპირველეს ყოვლისა, პრემიერმა კვირიკაშვილმა და მისმა კოლეგებმა უნდა განამტკიცონ კანონის უზენაესობა, მოემზადონ პატიოსანი არჩევნებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ოქტომბრის არჩევნები შეფასდეს, როგორც სრულიად თავისუფალი და სამართლიანი. ეუთომ არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად უნდა აღიაროს. ამგვარად, კანონის უზენაესობა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მთავრობის თავმჯდომარემ უნდა გადაჭრას იმის პარალელურად, რომ საშინაო და საგარეო ინვესტიციების მოზიდვაზე იმუშავებს.

## ◎ ინფორმაცია

### ბესელია ევრო სასამართლოს აღსრულების ქვეკომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად მეორედ აირჩიეს

**ევროპის საბჭოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ქვეკომიტეტმა სხდომაზე, პრეზიდენტ ლორდ ბალფის წარდგინებით, ვიცე-პრეზიდენტად ეკა ბესელია მეორედ აირჩია. ევროპის საბჭოს ასამბლეის ქვეკომიტეტი მუშაობს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხზე.**

**„ვფიქრობ, ეს არის ძალიან საპასუხისმგებლო პოზიცია, რამდენადაც საქართველო ამ ეტაპზე ძალიან აქტიურად ახორციელებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე ახალი საპარლამენტო მექანიზმის შექმნას. ჩემი ამ პოზიციაზე მეორედ წარდგენა დაგვეხმარება იმაში, რომ ის დაგეგმილი ახალი პროექტები, რომელსაც ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან ახორციელებს, კონკრეტული, დადებითი შედეგით დასრულდება. კერძოდ, ის რომ საქართველომ, სხვა ქვეყნების მსგავსად, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე აღსრულების ეფექტური მექანიზმი შექმნას“ — განაცხადა ეკა ბესელიამ.**

**ასევე, ევროპის საბჭოს იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ეკა ბესელია ლორდ ბალფთან ერთად, ვენეციის კომისიის დემოკრატიული არჩევნების საბჭოს წევრად აირჩიეს.**

### მოგერინი და პანი საქართველოს პარლამენტს ემადლიერებიან

**საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ევროპის კავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ და ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა საქართველს პარლამენტს მადლობის წერილი გამოუგზავნეს**

**ევროპელი დიპლომატები საქართველოს ხელისუფლების და პარლამენტის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებს მნიშვნელოვნად აფასებენ და ამბიციური რეფორმების გაგრძელების და ევროპის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების იმედს გამოთქვამენ. მათი შეფასებით, ვიზალიბერალიზაციის პროცესში მიღწეული შედეგი გაცილებით გააადვილებს და გააიოლებს ადამიანთა შორის კონტაქტებს, რაც საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.**

**ევროკომისრების მიერ მომზადებული წერილის ადრესატებს პარლამენტის თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციების თავმჯდომარეები, საგარეო და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების პირველი პირები და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტი წარმოადგენენ.**

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

## ◎ SOS!

# რა ნიშნები აქვს გაზით მოწამვლას და როგორ

**მომწამლავი გაზის, CO-ს გამოყოფა ხდება გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას. CO უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. CO-ს 1% შესუნთქვაც კი 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს. CO სისხლში ადვილად უკავშირდება ჰემოგლობინს, რაც ორგანიზმის მწვავე ჟანგბადოვან შიმშილსა და სიკვდილს იწვევს.**

### CO-თი მსუბუქი მოწამვლის ნიშნებია:

1. თავის ძლიერ ტკივილი, ტკივილი შუბლის, საფეთქლების მიდამოში, ყურებში შუილი.

2. თავბრუხვევა, სისუსტე, გულისცემის გახშირება, გულისრევა და პირღებინება. ადამიანი გონზეა, მაგრამ თითქოს გაბრუებულია.

გაზით მოწამვლა შესაძლოა მძიმე ან მსუბუქი იყოს.

### CO-თი მძიმე მოწამვლის ნიშნებია:

1. მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები, სახეზე გაჩნდეს ვარდისფერი ან ლურჯი ლაქები.

ძილიანობა, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, ცნობიერების დარღვევა და კომური მდგომარეობა,

2, კრუნჩხვები, გუგების მკვეთრად გაფართოება, ირღვევა სუნთქვა; მომატებულია სხეულის ტემპერატურა, რაც ტვინის შეშუპების მანიშნებელია.

### CO-თი მოწამვლისას პირველი დახმარებისთვის:

1, დაზარალებული სასწრაფოდ გამოიყვანეთ სახიფათო ზონიდან, უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება, გააღეთ სარკმელი, ფანჯარა, კარი; ასუნთქეთ ჟანგბადი; თუ გონზეა, დაალევინეთ მაგარი ყავა, ჩაი, ასკილის ნაყენი. აუცილებლად გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

2, თუ ადამიანი კომაშია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე ჩაუტარეთ ზემოთ მოცემული ღონისძიებები და დაელოდეთ სასწრაფოს. თუ ავადმყოფი გონზეა, სავარაუდოდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ექიმის კონსულტაცია მაინც აუცილებელია.

CO-თი მოწამლული, თუ მისი მდგომარეობა მძიმე არ არის, შეიძლება ჰაერზე გასვლით, ჟანგბადის მიღებით უკეთესად გახდეს, მაგრამ ექიმთან მიმართვა ყველა შემთხვევაში აუცილებელია. ამ დროს, ხშირ შემთხვევაში, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გადასხმას და ჟანგბადის მიწოდებას ბალონიდან.

CO-თი მოწამვლა უმეტეს შემთხვევაში გაზის ხელსაწყოების გაუმართაობას უკავშირდება. გაზის ხელსაწყოების უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**იმისთვის, რომ დაიცვათ საკუთარი და გარშემომყოფების სიცოცხლე, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გირჩევთ:**

1. ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;

2. სათავსო, ანუ ოთახი, სადაც დამონტაჟდება გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვენტილაციით;

3. წყალგამაცხელებლის დადგმა დასაშვებია, როგორც წესი, არა უმეტეს 5-სართულიან სახლებში, ხოლო დახურულ კამერიანი გამათბობელი ხელსაწყო-

# რატომ უყვეფენ პატრიარქს ფიფქიას დედინაცვალი და მეფალოსე ზაზა?

**პოლიტიკაში პროგნოზი რომ ერთობ უმადური და სახიფათო რამ არის, საყოველთაოდ ცნობილია.**

**ამიტომაც ერიდებიან ჩვენი პოლიტიკოსები, უფრო სწორად დასაქმების ამ სფეროში რაღაც მანქანები მოხვედრილი ადამიანებით პროგნოზირებას, მით უფრო, თავიანთი ერთობ მწირი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილების გამო.**

არადა, პრობლემები პირდაპირ ქუჩაში ყრია და რაღაც აზრის, თუნდაც მცდარის, გამოთქმას იხვეწება.

მაგალითად, ახლა იმაზეა მთელი ხალხის ყურადღება ფუტკრის ნაყარივით მიხურხლული, თუ რატომ ჩაუტკბნენ (თუ მართლა ჩაუტკბნენ!) ერთმანეთს პრეზიდენტი და „ქართული ოცნება“.

ეს კითხვა არ არის ლოგიკას მოკლებული: ერთი ხანია პრეზიდენტი მარგველაშვილი აღარ „ყირაობს“, ვეტოს შუბებს აღარ ამტვრევს ყველა საჭირო თუ არასაჭირო დროს. პრეზიდენტი, რომელსაც ახსოვდა თავისი წინამორბედის ვოლუნტარისტული წიაღსვლები, კანონების თავის თავზე „აზიაცკებივით“ მორგებით დაწყებული, თანამშრომელი თუ „უცხო“ ქალების (ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად) პირდაპირ სამუშაოზე ადგილზე ჩინჩვლით დამთავრებული, ბოლოს და ბოლოს დაშოშმინდა. მისი დღევანდელი სტატუს კვო მკვეთრად და დადებითად განსხვავდება ადრინდელი განუკითხავი ყოფისაგან.

ის შეეგუა იმას, რაც, ღმერთმა, ანუ ჩვენმა კონსტიტუციამ მისცა და ამერიკის ან რუსეთის პრეზიდენტების ასპროცენტიან სტატუსზე პრეტენზიისგან საბოლოოდ დაიბანა ხელი.

პრეზიდენტ მარგველაშვილის „მოთვინიერება“ სხვა მხრივაც წარმადი აღმოჩნდა. განდგომილმა თავისუფალმა დემოკრატებმა მოულოდნელად დაუოკებელი სურვილი იგრძნეს, რომ „ქართული ოცნების“ სახელისუფლო მკერდში ცხვირები ჩაერგოთ და მომნანიე ცრემლებით დაელბოთ მისი პიჯაკის ლაცკანები.

ცნობილია, ჩხუბში კაცს ისეთი რამ არ უნდა უთხრა, რომ შერიგებისას შეგრცხვეს. ხელისუფლებამ და თავისუფალმა დემოკრატებმა იმდენი და ისეთი სიბილწეები აძახეს ერთმანეთს (რა თქმა უნდა, არა „შე ჩათლახოს“ მსგავსი მსუბუქი ტიპისა), რომ სწორედაც ძნელი წარმოსადგენია მათი კვლავ ერთი ფრთის ქვეშ ჟღურტტული.

მაგრამ პოლიტიკაში, მით უფრო ისეთი დონის პოლიტიკაში, რომლიდანაც ერთდროულად ილანდება ქაჯეთის ციხეც, ავლაბრის სასახლეც და მატროსოვის სანატორიუმიც, ისეთი ჩამორჩენილი წარმოდგენები, როგორიც არის სირცხვილი და „ხალხი რას იტყვისო“, სწორედაც სასაცილოა.

ამიტომ ბოლო დღეებში ირაკლი ალასანიას, რომელსაც 2013 წლის პირქუში შემოდგომიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც ხმაურით დატოვეს „ქართული ოცნების“ დასაბამიდან მტკიცე და გაუბზარავი ძმობა, ცხვირ-პირი პერმანენტულად ჩამოსტიროდა უსიხარულო პერსპექტივის გამო, ამ ბოლო ხანებში ახალთახალი „მერსედესივით“ უბრწყინავს სახე, ეს ბრწყინვა და პრემიერ კვირიკაშვილის გასაოცარი „გაზომიერება“, დროში პირდაპირ წამ-წამობით ემთხვევა მოარული ცნობის გამოჩენას – შეიძლება თავისუფალი დემოკრატები ოცნების მშობლიურ წიაღში დაბრუნდნენო. თუმცა ამას წინათ ტელეინტერვიუში ირაკლიმ ვენები გადაიჭრა, მტრები მივრცელებენ ამ ბოროტ ხუმრობასო. მან საყოველთაოდ გასაგონად განაცხადა, რომ მომავალ არჩევნებში ბიძინა უკვე დამარცხებულია, მისი მარცხის საფუძველი „ქართული ოცნების“ 19 პროცენტიაო. „თავისუფალ დემოკრატებს“ მართალია 10 პროცენტი გვაქვს, მაგრამ ჩვენი რეზერვია ის 60 პროცენტი, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვეტია ვის მიემხროს. მათ სულ ღერაღერა წამოვიყვან ჩვენთანო..

ასეთი თავდაჯერებული კაცი შორს ვერ წავა.

შეიძლება მინის სოლოლაკში ეს საყოველთაო წინ და უკან მოძრაობა ცოტა სხვანაირ იდილიას ქმნის, აი, დასახელებულ „დაბალ რგოლებში“ კი ისე აღიქმება, როგორც ხალხთა დიდი გადასახლება და ამდენად დასაშვები რამ.

ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, ბოლოს და ბოლოს ეს ხალხი არსად არ მიდის, წრეზე ტრიალებს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ საყოველთაო შერიგების მოლოდინის ჟამს, ვინმე ნინია კაკაბაძე დაგვდგომია ყვავივით და სულ კერპთაყვანისმცემლებსა და ექსტრემისტებს გვიწოდებს.

ნინია უშვერად, დაუსრულებლად ლანძღავს ჩვენს სანთელივით მოციაგე კათოლიკოს-პატრიარქს, „უზნეოსა“ (?!) და „მეშჩანს“ (?!) უწოდებს ეს, აშკარად ბნელი და უმეცარი ადამიანი, რომელსაც ყველას მიმართ მუდმივი სიძულვილის გამო, ერთ დროს მწყაზარი სახე ისე შეეცვალა, როგორც უდანაშაულო გერის მოსაკლავად წასულ ფიფქიას დედინაცვალს, გრძნეული სასმელის დალევის შემდეგ.

**აქეთ-ნინია, იქეთ – ზაზა, ერთი-ორი სხვა წვრილფეხაც, იყეფებიან, იკბინებიან, იგესლებიან... იმის იმედად ყოფნა, რომ ვიღაც მოვა და იმ ძაღლთაპირ ზაზას თავში ჩააფარებს, ფუჭია, საერთოდ „გმირის“ იმედად ყოფნა არ ეგების, ისევ ჩვენ უნდა აღვკვეთოთ გადაგვარებულთა მავნე „ფალოსოფოსობა“, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა „თავში ჩაფარებით“, შანთით!..**

ეს ალბათ ერთ-ერთ ინტერვიუში ირაკლიმ ამ ბოროტ ხუმრობასაც ეტყვის, ოღონდ ეს ალბათ ოდესღაც, ოდესღაც, ოდესღაც... ეს ალბათ ოდესღაც, ოდესღაც, ოდესღაც... ეს ალბათ ოდესღაც, ოდესღაც, ოდესღაც...

ამ დროს თქვენ წარმოიდგინეთ, ნინიას არ მოსწონს, როცა მისი ჭკუამიღმური გამოთქმების გამო ლანძღავენ. ჩემს ფეისბუქზე 86 წერილი მოვიდა, 84-ში მაგინებენ, ეს როგორ შეიძლებაო.

არა, არ მოსწონს მას ხალხის გულწრფელი გამოხმაურება!

საშუალო ასაკს გადაცილებულ ქალს ფსიქიკა ეცვლება. ზოგს – უმნიშვნელოდ, ბევრს – არსებითად.

მას შემდეგ, რაც ეშმაკეულს ეზიარა, როგორც ვხედავთ, სახიერადაც შეიცვალა და დაიწყო დაუსრულებელი ყვა, ყვა, ყვა!...

ისე სამუშ-სამუშ, აქა-იქ რაღაცას ადრეც ჩაუნისკარტებდა ხოლმე. მაშინ ამას პირადად მე მისი არისტოკრატიზმის გეიზერების ამოხეთქვებს ვაბრალებდი, მაგრამ მერე და მერე „არისტოკრატიზმი“ სწორედაც რომ არაფერ შუაში აღმოჩნდა.

დრო, წელთა მრავლობის თანაბარზომიერ გვჭმუჭნის და გვაგლახაკებს, და აი, ნინიამ მიჭვრიტანაში ყურებისას აღმოაჩინა, რომ იქიდან უკვე სხვათაგან არაფრით გამორჩეული ხანდაზმული დედაკაცი შემოსცქეროდა და ხალხის ყურადღების მისაპყრობად (ურომლისოდაც სიცოცხლეს რა აზრი აქვს!) ენის ალესვა და ვიღაც-ვიღაცებისთვის ყელის გამოჭრა გადაწყვიტა.

ეს მიზანდასახულობა კი აიხდინა, მაგრამ სხვათა ყელის გამოჭრის ნაცვლად საკუთარი თავი მოიჭრა.

ასეთი ავტოთავმოჭრილი ბევრია დღევანდელ საქართველოში.

დადიან, წივიან, კივიან, იწყევლებიან, გესლს ანთხევენ, არც თვითონ ისვენებენ და არც სხვას ასვენებენ.

თორემ რა რჯიდა ისედაც ყოვლად წარყმედილ კაცს, „მწერალ“ ზაზა ბურჭულაძეს, რომ წამოაგდო იმ დღეს ბინძური ენა „ტაბულის“ ტელეეკრანზე და ბერლინის ქუჩებში ნებიერად მოსეირნემ „გაგვანათლა“: „კათოლიკოს-პატრიარქი ყველაზე დიდი მტაცებელია ქვეყანაზე, რომელიც ვოლიერში უნდა მოვათავსოთო!!!“

რატომ, შე მართლა მტაცებელო და არაკაცო? რაკი თვითონ ურწმუნო ხარ, სხვას აუცილებლად უნდა შეუბილწო რწმენა? თვითონვე ამბობ, საქართველოში მოსახლეობის 96 პროცენტი მორწმუნეაო, ჰოდა პატივი ეცი ამ რაოდენობის ქართველობას!

იმ დღეს კიდევ ერთი მახინჯი ანტიქართული ნააზრევი გადმოაგდო „მწერალმა“ – „ქართვლის დედას“ ორის ნაცვლად ექვსი ხელი უნდა ჰქონდეს და ამ ექვსიდან ერთში აუცილებლად ფალოსი უნდა ეჭიროსო.

საერთოდ, ზაზა ბურჭულაძეს ფალოსის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი, მთელი მისი შემოქმედება, ხომ ფალოსზე ტრიალებს. მაგრამ ეს მისი პირადი საქმეა და როგორც ძველი ქალაქელები იტყვიან, იმის ჯანში იყოს. მაგრამ ქართველობის საერთო აზრს რას უშვება, ამ ქანდაკებაში მხოლოდ ქანდაკებას რომ არ ხედავს, შეჰყურებ „ქართლის დედას“ და მარნეულის გზაზე მდგარ სიმბოლოს – ძაძით მოსილი ქალი ომში დაღუპულ მამის ხმალს რომ გადასცემს ლეკვებს ალგეთის მგლისასა. და უტყუარად გჯერა – დაიზრდებიან ის ბიჭები და ჯავრს არ შაშჭამენ მტრისასა.

აი, ამას მეუბნება მე და მილიონობით სხვა ქართველს ქანდაკებები „კომკავშირის ხეივნიდან“ და მარნეულიდან.

ამიტომ, როცა გინება „ჩემი დედა“... მოგადგება ენაზე, სახლში შედი, შე დამპალო და იქ ამოიფერთხე გულ-ბოყვი. იქ, ალბათ, არ გაუკვირდებათ შენი ყიამყრალობა...

**ასე რომ, აქეთ – ნინია, იქეთ – ზაზა, ერთი-ორი სხვა წვრილფეხაც, იყეფებიან, იკბინებიან, იგესლებიან...**

**იმის იმედად ყოფნა, რომ ვიღაც მოვა და იმ ძაღლთაპირ ზაზას თავში ჩააფარებს, ფუჭია, საერთოდ „გმირის“ იმედად ყოფნა არ ეგების, ისევ ჩვენ უნდა აღვკვეთოთ გადაგვარებულთა მავნე „ფალოსოფოსობა“, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა „თავში ჩაფარებით“, შანთით!..**

**ალეკო ასლანიშვილი**

# დავიცვათ გამათბობლის უსაფრთხოება

ების დადგმისათვის სართულიანობა არ იზღუდება;

4. გამათბობელი და წყალგამაცხელებელი აპარატების დამონტაჟებამდე შეამოწმებინეთ სპეციალიზირებულ ორგანიზაციებს საკვამლე და სავენტილაციო არხების ვარგისიანობა, რაზეც გაცემული უნდა იყოს დადგენილი ფორმის აქტი;

5. დროულად წარუდგინეთ გაზის მეურნეობის ცენტრებს საკვამლე-სავენტილაციო არხების ვარგისიანობის აქტები (აგურის არხების შემთხვევაში – კვარტალში ერთხელ, აზბოცემენტის არხების შემთხვევაში – წელიწადში ერთხელ);

6. შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსო. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი. დარეკეთ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ საავარიო სამსახურში – ტელ. 114;

7. გაზის მოწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;

8. გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი (ოთახი, სადაც მოთავსებულია გაზის ხელსაწყო);

9. კატეგორიულად აკრძალულია: გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობათა მონტაჟი და ექსპლუატაცია (გარდა გაზქურის), რომელთა გამოყენებისას წვისათვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან (ოთახიდან, სადაც მონტაჟდება ხელსაწყო) და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (წვის პროდუქტები სათავსშივე, ანუ ოთახშივე რჩება), აგრეთვე რომელთაც არ გააჩნიათ საკვამლე-სავენტილაციო არხები;

10. სავენტილიაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;

11. არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანათურების გამოყენება;

12. გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების, მეტლახის ფილების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა).

13. დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსოების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა იმ ოთახებისა, რომელშიც შეიძლება დაყენებულ იქნას სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელი;

14. გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არ არსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;

15. ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;

16. გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება;

17. წყალგამაცხელებელი და ყველა სახის გაზზე მომუშავე ხელსაწყოს დამონტაჟება სააბაზანო ოთახებში.

**შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ მოქმედებს ცხელი ხაზი, აბონენტებს შეუძლიათ მიმართონ გაზიფიკაციის საკითხებზე ტელეფონის ნომერზე 240-40-04 და მიიღონ ამომწურავი პასუხები;**

**SOCAR Georgia Gas-ის ტექნიკური სამსახურის მიერ გაზის გამათბობლის ან სხვა მოწყობილობების შემოწმება წელიწადის ნებისმიერ სეზონზე უფასოა.**

**მანა ნოდია**

# მოახდენს თუ არა უკრაინა საპაკაშვილის ექსტრადირებას?

**უკრაინული გამოცემა „გლავკომის“ კორესპონდენტმა მიხაილო გლუხოვსკიმ ინტერვიუ ჩამოართვა უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მიხეილ უკლებას.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს ვრცელი ინტერვიუდან:**

**— როცა უკრაინელები საქართველოში ჩადიან, ქართველები მათ მეგობრულად ხვდებიან. სხვა საქმეა ხელისუფლების დამოკიდებულება — იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მთავრობა უკრაინის მიმართ მაინცდამაინც თბილ გრძნობებს არ ამჟღავნებს. საიდან ასეთი დისონანსი?**

— აბსოლუტურად ვერ დაგეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და უკრაინის წინაშე ძალიან ბევრი საერთო გამოწვევა დგას, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა მაინც აქტიურად ვითარდება. ბოლო ორ წელიწადში, ყირიმის ანექსიისა და დონბასში ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უკრაინას ორჯერ ეწვია. აქ ჩამოსული იყო პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც... ფაქტობრივად, კიევში ჩვენი მთავრობის თითქმის ყველა წევრია ნამყოფი — მინისტრების უმრავლესობა, მათ შორის ორი ვიცე-პრემიერი, გენერალური შტაბის უფროსი... ჩვენი ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგიენკო თავის ქართველ კოლეგას — ალექსანდრე კვიტაშვილს შეხვდა. ბოლო ორ თვეში თბილისში იმყოფებოდა უკრაინის გენშტაბის უფროსი ვიქტორ მუჟენკო, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნატალია გალიბარენკო, ხოლო ახალი წლის წინ, დეკემბრის ბოლოს თბილისში ვერხოვნა რადას დელეგაცია ჩავიდა...

ამასთან, მიწვევის მიუხედავად, თქვენი პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს საპასუხო ვიზიტი განხორციელებულა, არც თქვენი პარლამენტის — ვერხოვნა რადას სპიკერიც არ წასულა თბილისში. ალბათ, მათ ვერ შეძლეს, რადგან უკრაინაში რთული სიტუაციაა და ჩვენ ამას გაგებით ვეკიდებით. ყველა შემთხვევაში, ჩვენი ურთიერთობა აქტიურად ვითარდება, მთელი საქართველო სოლიდარობას გიცხადებთ. წაიკითხეთ ჩვენი პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის სპიკერის, საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებები. უკრაინას ყველა მხარს უჭერს. გარდა ამისა, ჩვენ უკრაინას ჰუმანიტარულადაც ვეხმარებით, ვაწვდით მედიკამენტებს, ჩვენს სამხედრო-სარეაბილიტაციო ცენტრში, წეროვანში, დაჭრილი უკრაინელი მეომრები მკურნალობენ, საქართველოში ისვენებენ უკრაინელი ბავშვებიც. ასე რომ, რითაც შეგვიძლია, იმით ვეხმარებით. არ დაგავიწყდეთ, რომ თბილისიდან 40 კმ-ში რუსული სამხედრო ბაზებია, ჩვენი ტერიტორიის 20% კი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, გვყავს 300 ათასი დევნილი...

უკრაინა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. დიახ, თქვენთან ვაჭრობაში ჩავარდნა გვაქვს, მაგრამ ეს კრიზისის გამო ხდება — ყველა სახელმწიფოსთან მიმართებით ასეა და უკრაინა გამონაკლისი არ არის. ამის მიუხედავად, საქართველოს სავაჭრო პარტნიორებში უკრაინას მეათე ადგილი უკავია.

**— რუსეთი საქართველოს ბაზარზე ხორბლის უდიდეს მიმწოდებლად ითვლება. შეუძლია თუ არა უკრაინას რუსეთის ჩანაცვლება?**

— ჩვენ უკრაინული ხორბლის იმპორტსაც ვახდენთ. იცით, რომ 2006 წელს რუსეთმა საქართველოს პროდუქციას ემბარგო დაუწესა — ღვინოს, მინერალურ წყალს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე — „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. როცა მე ჩინეთში ელჩად ვმუშაობდი, იმ დროს ქართველი ღვინის მწარმოებლები ჩინეთში ჩამოვიდნენ და იქ, პეკინსა და შანხაიში, ორი დიდი ბიზნეს-ფორუმი გავმართეთ, ახალი ბაზრის ძიების მიზნით. თავდაპირველად ჩვენ ძალიან რთული პერიოდი გვქონდა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით წინ წავედით, დღეს კი ქართული ღვინის ექსპორტს მსოფლიოს 42 ქვეყანაში ვახდენთ. სავაჭრო ურიერთობის განახლება მიმდინარეობს რუსეთთანაც. თუ ჩვენი კომპანიები ჩათვლიან, რომ მათთვის უკრაინაში ხორბლის შესყიდვა უფრო მომგებიანი იქნება, ისინი იყიდიან. ეს ხომ ბიზნესის კანონია. უკრაინა თუ პროდუქტს რუსეთზე იაფად შემოგვთავაზებს, რასაკვირველია, თქვენი ხორბლის იმპორტი გაიზრდება. ამჟამად ჩვენი ბაზარი სრულადაა დივერსიფიცირებული. თუ რუსეთი პოლიტიკური მიზეზებით თავის ბაზარს ისევ დაგვიხურავს, როგორც ადრე გააკეთა, ჩვენ დაცულები ვართ, რადგან გვაქვს ევროკავშირის ბაზარი, მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის ზონა ევროკავშირთან. ჩვენთვის ორივე ბაზარი — ევროკავშირის (606 მილიონი მოსახლეობით) და რუსულიც (140 მილიონით) ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, რასაკვირველია, ისინი მოცულობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ზოგადად კი, ჩვენ უზარმაზარი შესაძლებლობები გვაქვს. ბუნებრივია, ჩვენი პროდუქცია ევროპულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, ამისათვის დრო არის საჭირო — ორი, სამი, ან ხუთი წელი.




**— თქვენი აზრით, რამდენად კარგად აცნობიერებს ქართული საზოგადოება უკრაინაში მომხდარ მოვლენებს — ვინ ვისთან ომობს და საერთოდ, ვინაა მთავარი დამნაშავე მომხდარში?**

— საქართველო ყველაზე უკეთ აცნობიერებს უკრაინაში მომხდარ ამბებს. თქვენთან იგივე კოლაფსი მოხდა, რაც საქართველოში იყო 2000-იანი წლების დასაწყისში, როცა ჩვენი ქვეყანა სრულ ბანკროტად იქცა, როცა საერთაშორისო ინსტიტუტებმა დახმარება შეგვიწყვიტეს.. იმ დროს შექმნილმა ვითარებამ ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ გამოიწვია... გარდა ამისა, თქვენთან ამ ყველაფერს საბჭოთა მძიმე წარსულიც ემატება: საქართველოში 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ვერსად ვეღარ ნახავთ საბჭოურ ძეგლებს, იოსებ სტალინის ძეგლის გარდა, რომელიც დღეს მხოლოდ მუზეუმშიღა დგას. მე რომ უკრაინაში ჩამოვედი 2013 წელს, გამიკვირდა, რომ კრეშჩატიკზე (კიევის მთავარ ქუჩაზე) ვლადიმერ ლენინი კვლავ გაწვდილი ხელით დგას... თქვენთან ძალიან ბევრ ქალაქში კვლავ არსებობს მარქსის, ენგელსის, ძერჟინსკის ძეგლები... და რაც ახლა თქვენთან ხდება, ჩვენთან უფრო ადრე მოხდა.

**ნომრის სტუმარია საქართველოს ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლება**

იცით, რა გვაერთიანებს ყველაზე მეტად? თავისუფლებისმოყვარე ქართველები და უკრაინელები უკვე თავისუფალნი არიან. მხოლოდ თავისუფალი ადამიანები აღწევენ წარმატებას. ჩვენ ერთად გავიარეთ გზა ევროკავშირთან ხელშეკრულების გაფორმებამდე... ამასთან, თქვენ იცით, რომ საქართველოსა და რუსეთს ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი აქვთ 2008 წლის შემდეგ, ჩვენ დსთ-დანაც გამოსულნი ვართ. საქართველოს სტრატეგიულ მიზანს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს — ამ საკითხში ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთისადმი სოლიდარულია.

**— ერთი მხრივ, საქართველო გმობს ყირიმის ანექსიას და რუსულ აგრესიას დონბასში, მეორე მხრივ კი, თქვენ მხარს არ უჭერთ იმ განსაზღვრულ სანქციებს, რომლებიც დასავლეთმა — ევროკავშირმა და ამერიკამ რუსეთის წინააღმდეგ შემოიღო. რა შემთხვევაშია მზად თქვენი ქვეყანა ამ სანქციებს მიუერთდეს?**

— დიახ, თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ ეს განსაზღვრული სანქციებია... საქართველო თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, უკრაინას მხარს უჭერს. ჩვენი ქვეყანა, სხვათა შორის, ყირიმის ანექსიის გამო დაწესებულ ანტირუსულ სანქციებს შეუერთდა. მაგრამ საქართველო და ამერიკა სხვადასხვა წონის სახელმწიფოებია. რასაკვირველია, ჩვენ გვინდა, რომ ეს სანქციები უფრო მკაცრი იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ასე არ ხდება. გარდა ამისა, დასავლეთის მხრიდან თქვენდამი მხარდაჭერა უფრო მეტია იმ მხარდაჭერასთან შედარებით, რომელიც ჩვენ რუსული აგრესიის დროს გვქონდა... სამწუხაროდ, რუსეთი არ ასრულებს იმ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც თვითონვე აიღო თავის თავზე. რუსეთმა თავისი ჯარები უნდა გაიყვანოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან — აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, მაგრამ ამას არ აკეთებს, მოსკოვი იქ შესვლის ნებას არ აძლევს საერთაშორისო დამკვირვებლებს. იგივე ხდება ყირიმთან მიმართებით...

საქართველოსა და უკრაინის მდგომარეობა ამ თვალსაზრისით ერთნაირია — ჩვენ ერთი აგრესორი გვყავს — რუსეთი. 2008 წელს მე არ ვფიქრობდი, რომ თქვენთან ის განმეორდებოდა, რაც ჩვენთან მოხდა, მაგრამ როცა 2013 წელს აქ ჩამოვედი, მივხვდი, რომ ეს შესაძლებელი იყო.... საქართველო მეგობრების მოყვარული ქვეყანაა, მას არც ერთ მეზობელთან პრობლემები არა აქვს, რუსეთის გარდა. როცა მე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიყავი, რუსეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას ვამზადებდი, ასევე ვამზადებდი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ევროპასთან მიმართებით ყოველთვის ვხედავდი ჩემი შრომის ნაყოფს, მაგრამ რუსეთთან მიმართებით კი — ვერა. ხელშეკრულებას ხელი კი მოვაწერეთ, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მისი რატიფიცირება არ მოახდინა, ანუ არ დათანხმდა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას. ასე მოხდა უკრაინასთან მიმართებითაც — მოსკოვმა არ მიიღო თავისუფალი უკრაინელი ხალხის არჩევანი. არის ჩვენს შორის განსხვავებაც, რაც ყირიმის მიტაცების ფორმაში გამოიხატა: ჰიბრიდული ომები სიახლეს წარმოადგენს. გარდა ამისა, ჩვენგან განსხვავებით, დღეს თქვენ საერთაშორისო თანამეგობრობა უპრეცედენტო დახმარებას გიწევთ.

**— ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ. ერთი მხრივ, საქართველოსა და უკრაინის კონსტიტუციები ორმაგ მოქალაქეობას არ უშვებენ, მეორე მხრივ კი, არიან სხვა ქართველებიც, რომლებთაც უკრაინაში მაღალი პოსტები უკავიათ და მათთვის მოქალაქეობა არავის არ ჩამოურთმევია. რატომაა ასეთი არათანმიმდევრულობა?**

— საქართველოს კონსტიტუციაში ნათლადაა ჩაწერილი, რომ საქართველოს მოქალაქე სხვა ქვეყნის მოქალაქე არ უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეს განსაკუთრებული დამსახურების გამო ენიჭება. მოქალაქეობის დაკარგვის (ჩამორთმევის) პროცედურა ჩვენთან კანონში ზუსტადაა გაწერილი... საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნა ზუსტად შესრულდა: გუბერნატორად მისი დანიშვნის შემდეგ ჩვენ უკრაინულ მხარეს მივმართეთ, უკრაინამ ოფიციალურად გვაცნობა, რომ მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და სწორედ ამის შემდეგ ჩამოვართვით მას საქართველოს მოქალაქეობა. დღეს იგივე პროცედურა მიდის სხვა პირებთან მიმართებითაც.

**— ანუ საქართველოს პრეზიდენტის იგივე ბრძანებულებები იქნება უკრაინის ხელისუფლებაში დასაქმებული სხვა ქართველების მიმართაც?**

— რასაკვირველია.

**— მოგვიანებით მათ შეუძლიათ ისევ მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა?**

— დიახ, თუ ისინი პრეზიდენტს შესაბამისი თხოვნით მიმართავენ. პრეზიდენტი მათ მიმართვებს განიხილავს.

**— მიხეილ სააკაშვილი საქართველოში აღძრული ოთხი სისხლის სამართლის საქმის ფიგურანტად ითვლება. საქართველოს პროკურორმა ირაკლი შოთაძემ სულ ცოტა ხნის წინათ, უკვე მიხეილ სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის შემდეგ, განაცხადა, რომ საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ყოფილი პრეზიდენტი უკვე უკრაინის მოქალაქეა, მაინც მოითხოვს მის ექსტრადიციას...**

— მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილისათვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭება არ გამორიცხავს მისი ექსტრადიციის შესაძლებლობას იმ სხვა სახელმწიფოდან, რომლის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი არ არის, რადგან მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებები და ბევრი ქვეყნის შიდა კანონმდებლობა მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიციას კრძალავს.

**— უკრაინის გენპროკურატურამ ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში განუცხადა უარი ქართველ კოლეგებს ბატონი მიხეილ სააკაშვილის გადაცემაზე. უარი იმით აიხსნა, რომ მიხეილ სააკაშვილს შეიძლება საქართველოში პოლიტიკური დევნა დაუწყონო, მაგრამ თქვენი პროკურატურა ექს-პრეზიდენტს ბრალდებებს სერიოზული დანაშაულის ჩადენაში უყენებს... რომელი მხარე უფრო მეტად ხელმძღვანელობს პოლიტიკური მიზანშეწონილობით და არა კანონით?**

— ჩვენმა პროკურატურამ უკრაინის გენპროკურატურას საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მიმართა. რაც შეეხება ჩვენი მიმართვის დაკმაყოფილებას, ეს უკრაინის სუვერენული უფლებაა.

**— გამოდის, რომ მიხეილ სააკაშვილის პერსონა უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის გამწვავების კატალიზატორს წარმოადგენს.**

— ჩვენს სახელმწიფოებისა და ხალხებს შორის ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანი და ახლოა, რომ მე ვერ წარმოიდგენია, რამ შეიძლება მას ხელი შეუშალოს.

**ინტერვიუს უძღვებოდა**
**მიხეილ გლუხოვსკი.**

**საერთაშორისო კვლევების თანახმად, რომელსაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 3 წელიწადში ერთხელ ატარებს, ფინელი მოსწავლეები მსოფლიოში ცოდნის ყველაზე მაღალ დონეს აჩვენებენ. გარდა ამისა, ისინი არიან პლანეტის ბავშვთა შორის ყველაზე მკითხველი ბავშვები, მათ მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და მეხუთე - მათემატიკაში. პედაგოგიური საზოგადოების გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ფინეთში სასწავლო პროცესი დიდი ხანგრძლივობით არ გამოირჩევა.**

საშუალო განათლება სკოლებში ორ ნაწილად იყოფა:

**დაბალი — 1-6 კლასები.**
**მაღალი — 7-9 კლასები.**

დამატებით მე-10 კლასში მოსწავლეებს თავიანთი ნიშნების გაუმჯობესების შესაძლებლობა ეძლევათ, შემდეგ კი ისინი პროფესიულ კოლეჯში ან ლიცეუმში აგრძელებენ სწავლას.

**ფინური განათლების 7 პრინციპი:**

## თანასწორობა

არ არსებობენ ელიტური და სუსტი მოსწავლეები. ყველაზე მრავალრიცხოვან სკოლაში 960 მოსწავლე სწავლობს. ყველას ერთნაირი სასკოლო აღჭურვილობა და დაფინანსება აქვს. თითქმის ყველა სკოლა არის სახელმწიფოს კუთვნილება. მხოლოდ ათამდე ნახევრადკერძო სკოლაა, სადაც მშობლები იხდიან თანხას შვილების მაღალი საჭიროებებისათვის, როგორიცაა „პედაგოგიური“ ლაბორატორიები. კერძო სკოლებს მიეკუთვნება ის დაწესებულებები, სადაც სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ფინეთში სრულყოფილი განათლების მიღება შესაძლებელია შვედურ ენაზეც.

ადრე, ფინეთში სკოლის არჩევა აკრძალული იყო. ამჟამად ეს აკრძალვა მოხსნილია, მაგრამ მშობლები უპირატესობას ანიჭებენ ახლომდებარე სკოლებს, რადგან ყველა საშუალო სასწავლებელი ერთნაირია.

ფინურ სკოლებში არ არსებობს უპირატესი საგნები. არ ითვლება, რომ ვთქვათ, მათემატიკა მნიშვნელოვანია ხელოვნებაზე. პირიქით, გამონაკლისი, რის გამოც ნიჭიერი ბავშვებისთვის იქმნება კლასები, სწორედ ხატვა, მუსიკა ან სპორტია.

## მშობლები

მასწავლებელს მოსწავლის მშობლის პროფესიის გაგება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია. როგორც წესი, ეს ინფორმაცია დახურულია.

ფინეთში მოსწავლეებს არ ყოფენ უნარების ან კარიერული შესაძლებლობების მიხედვით. არ არიან „ცუდი“ და „კარგი“ მოსწავლეები, რადგან ბავშვების შედარება აკრძალულია. როგორც ჭკვიანი, სრულყოფილი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ეტლით მოსარგებლე ბავშვები ერთნაირად ითვლებიან და სწავლობენ ერთად. ფინელები ცდილობენ, საზოგადოებაში მაქსიმალური ინტეგრირება მოახდინონ მათთვის, ვისაც განსაკუთრებული დამოკიდებულება სჭირდება.

რაც შეეხებათ მასწავლებლებს, ისინი არ ავლენენ განსაკუთრებულ სიყვარულს ან უარყოფით დამოკიდებულებას რომელიმე მოსწავლისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი კონტრაქტი წყდება. ფინელი მასწავლებლები ერთნაირად ასრულებენ მენტორის მითითებებს. შრომით კოლექტივში ყველა საგნის პედაგოგი თანაბრად მნიშვნელოვანია.

ფინური პრინციპით, მოსწავლეებისადმი პატივისცემა აუცილებელია. პატარებს პირველი კლასიდანვე ეცნობათ თავიანთი უფლებები, ასევე სოციალურ შრომაში ჩართვის გასაჩივრების შესაძლებლობა. ეს ყველაფერი მშობლებს აჩვენებს, რომ ბავშვი დამოუკიდებელი პიროვნებაა და მისი შეურაცხყოფა დაუშვებელია. მასწავლებლის მიერ მოსწავლის დამცირება ფინური შრომითი კანონმდებლობითაც რეგულირდება, რადგან პედაგოგს მხოლოდ 1-წლიანი კონტრაქტი უფორმდება (გაგრძელების შესაძლებლობით). ხელფასი მაღალია და 2 500-იდან 5 000 ევრომდე აღწევს.

## ინვესტორი სახელმწიფო

სწავლის გარდა, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება:

კვება;

ექსკურსიები, მუზეუმები და კლასგარეშე საქმიანობები;

ტრანსპორტი, რომელიც ემსახურება ბავშვს, თუ ახლომდებარე სკოლა ერთ კილომეტრზე მეტი მანძილითაა დაშორებული საცხოვრებლიდან;

სახელმძღვანელოები, ყველა საკანცელარიო ნივთი, ნოუთბუქები;

ნებისმიერ საკითხში აკრძალულია მშობლის ფინანსური ჩარევა.

## ინდივიდუალობა

ყველა ბავშვისთვის განათლებისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმაა შედგენილი. ეს ეხება სახელმძღვანელოებს, დავალებებს, დროს, ასევე სასწავლო მასალას. გაკვეთილზე ერთსა და იმავე კლასში, ბავშვები სხვადასხვა სირთულის დავალებებს ასრულებენ და მათი შეფასებაც პერსონალურ დონეზე ხდება. ვინც საშუალო დონის დავალებას მაღალ დონეზე შეასრულებს, შემდეგ დღეს უფრო რთულ დავალებას მისცემენ, ხოლო თუ ვერ გაუმკლავდება, კვლავ მსუბუქი დატვირთვით იმუშავებს მომდევნო დღეს.

ფინურ სკოლებში, ტიპიურ სწავლებასთან ერთად, არსებობს ორი უნიკალური საგანმანათლებლო პროცესი:

1. ხელშემწყობი სწავლება „სუსტი“ მოსწავლეებისთვის: რაც ჩვენთან რეპეტიტორებს აკისრიათ, ფინელი მასწავლებლები ნებაყოფლობით ასრულებენ გაკვეთილებს შორის ან მათ შემდეგ.

2. კორექციული სწავლება: მასალის დაუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების დროს, მაგალითად, როცა მოსწავლე არ ფლობს ფინურ ენას; აქვს მახსოვრობასთან ან მათემატიკასთან დაკავშირებული პრობლემები , ტარდება კორექციული სწავლება, რაც მიმდინარეობს მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად.

## პრაქტიკულობა

ფინელები ამბობენ „ან ცხოვრებისთვის ვემზადებით, ან — გამოცდებისთვის. ჩვენ პირველს ვირჩევთ“. ამიტომაც, ფინური სკოლებში გამოცდები არ ტარდება. არსებობს მხოლოდ აუცილებელი ტესტი საშუალო სკოლის დამთავრებისას. სკოლაში მხოლოდ იმას სთავაზობენ, რაც ცხოვრებაში გამოსადეგია. სამაგიეროდ, ბავშვებმა პატარაობიდანვე იციან, რას ნიშნავს პორტფოლიო, კონტრაქტი, საბანკო ბარათი. იციან პროცენტის გამოთვლა, სავიზიტო საიტის შექმნა ინტერნეტში და ა.შ.

**ფინელ ბავშვებს არ სძულთ სკოლა!**

**მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების სისტემის შვიდი პრინციპი**

## ნდობა

სკოლაში მომუშავეთათვის არ არსებობს შემოწმებები, მეთოდისტები. განათლების სისტემა ქვეყანაში ერთიანია, მაგრამ მხოლოდ საერთო რეკომენდაციებს მოიცავს და ყოველი პედაგოგი სწავლების იმ მეთოდს იყენებს, რომელსაც შესაფერისად თვლის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოსწავლეებისადმი ნდობა. მაგალითად, თუკი ლიტერატურის გაკვეთილზე ჩართულია შემეცნებითი ფილმი, მაგრამ მოსწავლეს არ აინტერესებს, შეუძლია იკითხოს წიგნი.

## ნებაყოფლობითობა

სწავლობს ის, ვისაც უნდა სწავლა. პედაგოგები ცდილობენ, მოსწავლის ყურადღება მიიპყრონ, მაგრამ თუ მას ინტერესი და სწავლის სურვილი არ გააჩნია, მოსწავლის ორიენტირება პრაქტიკულ მომავალზე უნდა მოხდეს. ყველას არ შეუძლია, ააწყოს თვითმფრინავი, ვიღაცამ ავტობუსი უნდა მართოს.

ფინელები საშუალო სკოლის ამოცანას იმაშიც ხედავენ, აქვს თუ არა აზრი სწავლის გაგრძელებას მაღალ საფეხურზე, თუ უმჯობესია პროფესიულ სასწავლებელში გადასვლა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ორივე გზა ერთნაირად დაფასებულია.

თითოეული ბავშვის მიდრეკილებების გამოვლენაზე, საუბრისა და ტესტების გზით, მუშაობს სპეციალისტი, რომელსაც „მომავლის მასწავლებელი“ ეწოდება.

საერთო ჯამში, ფინური სწავლების მეთოდი სკოლებში რბილი და დელიკატურია, მაგრამ სასკოლო რეჟიმის კონტროლი აუცილებელია. გაკვეთილის გაცდენის გამო, შესაძლებელია, მეექვსე კლასის მოსწავლე მეორე კლასის გაკვეთილზე დასვან, მისთვის მოსაწყენ გარემოში, სადაც პატარებისთვის ხელის შეშლა ეკრძალება. დავალებების შეუსრულებლობის და მასწავლებლის შეურაცხყოფისთვის მშობელს არავინ დაიბარებს და არც მოსწავლეს შეურაცხყოფენ. კლასში ჩატოვება კი ფინურ სკოლებში სირცხვილად არ ითვლება, განსაკუთრებით მეცხრე კლასის შემდეგ. ცხოვრებისთვის მომზადება საჭიროა სერიოზულად, ამისთვის არსებობს დამატებითი (არასავალდებულო) მეათე კლასი.

## დამოუკიდებლობა

ფინელების რჩევით, სკოლამ ბავშვს უნდა მისცეს მთავარი — დამოუკიდებელი, წარმატებული ცხოვრება მომავალში. ამიტომ, ისინი ფიქრს და თვითშემეცნებას ასწავლიან. მთავარია არა დაზეპირებული ფორმულები, არამედ სახელმძღვანელოს, ინტერნეტის და სხვა საჭირო რესურსების გამოყენება მომავალი პრობლემების გადასაჭრელად. ფინელი პედაგოგები არც მოსწავლეთა კონფლიქტებში ერევიან და აძლევენ მათ შესაძლებლობას, ცხოვრებისეული სიტუაციებისთვის მოემზადონ, დადგნენ საკუთარ თავზე მაღლა.

## როდის და რას სწავლობენ ფინელი ბავშვები?

**1-2 კლასი**

ისწავლება ფინური ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, რელიგია (რწმენის მიხედვით) ან ცხოვრებისეული კონცეფცია (არარელიგიურთათვის), მუსიკა, ხატვა, შრომა და ფიზკულტურა. რამდენიმე დისციპლინის სწავლა ერთ გაკვეთილზეა შესაძლებელი.

**3-6 კლასი**

იწყება ინგლისური ენის შესწავლა. მეოთხე კლასიდან კი, დამატებითი არჩევანია: ფრანგული, შვედური, გერმანული ან რუსული. ასევე არის არჩევითი საგნები, რომლებიც ყველა სკოლას თავისი აქვს. ეს შეიძლება იყოს სწრაფი ბეჭდვა კლავიატურაზე, სიმღერა და ა.შ. თითქმის ყველა სკოლაში ისწავლება სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა.

მეხუთე კლასიდან ემატება ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია და ისტორია. 1-6 კლასებში ყველა საგანს ერთი პედაგოგი ასწავლის. ფიზკულტურის გაკვეთილების შემდეგ, რაც სპორტის სხვადასხვა სახეობებს მოიცავს, აუცილებელია შხაპის მიღება. ლიტერატურის სწავლება არ მიმდინარეობს, მას კითხვის ხასიათი აქვს.

**7-9 კლასი**

ისწავლება ფინური ენა და ლიტერატურა, შვედური, ინგლისური, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა, ჯანმრთელობის საფუძვლები, რელიგია, მუსიკა, ხატვა, ფიზკულტურა, არჩევითი საგნები, შრომა (ბიჭებისა და გოგონებისთვის ცალ-ცალკე გამოყოფილი არაა). მეცხრე კლასში 2 კვირა ეთმობა შრომითი ცხოვრების გაცნობას, სადაც ბავშვები მათთვის საინტერესო სამუშაო ადგილებზე მიდიან.

## ვის სჭირდება ნიშნები?

ქვეყანაში მიღებულია ათბალიანი სისტემა, მეშვიდე კლასამდე კი სიტყვიერი შეფასება გამოიყენება: საშუალო, დამაკმაყოფილებელი, კარგი და ძალიან კარგი.

ყველა სკოლა ჩართულია სახელმწიფო ელექტრონულ სისტემაში, რომელიც ელექტრონული სასკოლო დღიურივითაა. მშობლები სარგებლობენ პირადი კოდით, რომლითაც მასწავლებლის, ფსიქოლოგის და სკოლის სხვა თანამშრომლების მიერ დაწერილ შეფასებებს ეცნობიან. ნიშნებს ფინურ სკოლებში დამსჯელი ფუნქცია არ გააჩნია და თავად მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად გამოიყენება. ეს არანაირად არ აისახება მასწავლებლის და სკოლის რეპუტაციაზე.

## სასკოლო ცხოვრების „წვრილმანები“

სკოლის ტერიტორია შემოღობილი არ არის და შესასვლელში დაცვა არ დგას; სკოლების უმეტესობას ავტომატური კარი აქვს და შესვლა შესაძლებელია მხოლოდ გრაფიკის მიხედვით;

მოსწავლეებს, მერხებთან ჯდომის გარდა, შეუძლიათ ხალიჩაზე დასხდომა, ზოგიერთ სკოლაში არის დივნები და საკარძლებიც;

არ არსებობს სასკოლო ფორმები და არანაირი მოთხოვნა სამოსთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, მოითხოვენ ფეხსაცმლის გამოცვლას;

თბილ ამინდში გაკვეთილები ხშირად სუფთა ჰაერზე, პირდაპირ ბალახზე ან ამფითეატრის მსგავს გარემოში ტარდება. გარდა ამისა, ყოველი შესვენების დროს, უმცროსკლასელები აუცილებლად გაჰყავთ გარეთ 5-10 წუთით;

საშინაო დავალებებს იშვიათად აძლევენ. ბავშვმა უნდა დაისვენოს და არც მშობელია ვალდებული, მოამზადებინოს მას გაკვეთილები. ამის ნაცვლად, პედაგოგები ოჯახებს მუზეუმში, ტყესა ან აუზზე წასვლის რეკომენდაციას აძლევენ;

ბავშვებს დაფასთან გასვლა და ტექსტების დაზეპირება არ მოეთხოვებათ. მასწავლებელი მოკლედ იძლევა გაკვეთილის ზოგად ტონს და შემდეგ ეხმარება მოსწავლეებს დავალების შესრულებაში. ამას აკეთებენ ასევე დამხმარე მასწავლებლებიც, რომლებიც ფინურ სკოლებში მუშაობენ;

მოსწავლეები რვეულში ფანქრით წერენ და წაშლა არაერთხელ შეუძლიათ. გარდა ამისა, ფანქრით ასწორებს დავალებებს პედაგოგიც.

* * *

**ასე გამოიყურება ფინური საშუალო განათლება. შესაძლოა, ვინმეს ის არასწორი ეგონოს. ფინელებიც არ გამორიცხავენ, რომ ყველაფერ კარგში შესაძლებელია უარყოფითის პოვნა. ისინი მუდმივად იკვლევენ, რამდენად შეესაბამება სასკოლო სისტემა საზოგადოებრივ ცვლილებებს.**

**ფინური სკოლა მთავარს ნამდვილად აკეთებს — მათ ბავშვებს არ აწუხებთ ნერვული დაძაბულობა ღამით, არ ოცნებობენ სწრაფად გაზრდაზე, არ სძულთ სკოლა, არ ტანჯავენ საკუთარ თავსა და ოჯახს მორიგი გამოცდისთვის მზადებისას. მშვიდად, გააზრებულად და ბედნიერად კითხულობენ წიგნებს, უყურებენ ფილმებს ფინური თარგმანის გარეშე, თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს, დადიან ველოსიპედით, უსმენენ მუსიკას, მღერიან და ხარობენ სიცოცხლით. ამ ყველაფერთან ერთად ასწრებენ სწავლას.**

4motivi.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**2016 წლის 17 იანვარს ირანის ისლამური რესპუბლიკის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას ჰქონდა ადგილი.**

**ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სადაც, სულ რამდენიმე თვის წინათ, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთმა მუდმივმა წევრმა, გერმანიამ და ირანმა წარმატებით დაასრულეს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული მოლაპარაკება, ისევ გადაწყვიტეს შეკრება – ადრე მიღებული ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულების შედეგების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად.**

**ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა მოგერინიმ და ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ზარიფმა ამცნეს მსოფლიოს ირანის მიერ აღებული ვალდებულებების პირნათლად შესრულების თაობაზე და აქედან გამომდინარე მასზე დაწესებული სანქციების მოხსნაზე.**

# ირანზე საერთაშორისო სანქციების მოხსნით საქართველოც იხეირებს

20 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკამ პირველმა, დაუწესა ირანს ეკონომიკური სანქციები. ამ ხნის განმავლობაში სანქციების მასშტაბი კატასტროფული სისწრაფით ფართოვდებოდა და სულ უფრო ახალ-ახალ დარგებს მოიცავდა. ამერიკელთა მეცადინეობით, გაეროს უშიშროების საბჭომ ოთხჯერ დაუწესა ირანს სანქციები – თანაც ერთიმეორეზე მძიმე. ამერიკელთა დაძალებით, სანქციების მაგალითი, მისმა მოკავშირეებმაც გადაიღეს, რამაც, ფაქტობრივად, ირანის ისლამური რესპუბლიკა, სანქციათა ალყაში მოაქცია.



სანქციების მძიმე შედეგების თაობაზე ბევრ ქვეყანას შეუძლია საკუთარი გამოცდილების გაზიარება, მაგალითად, კუბას, ამჯერად რუსეთს, განსაკუთრებით კი ირანს. როდესაც ხელ-ფეხს გიკოჭავენ, არ გაძლევენ საკუთარი პროდუქციის უცხოეთში გაყიდვის შესაძლებლობას; როდესაც შენთან ვაჭრობას უკრძალავენ არა მარტო ქვეყნებს, არამედ მსოფლიო ბიზნესს, ისღა დაგრჩენია გულზე ხელი დაიკრიფო და სული განუტევო. ან ფეხებში ჩაუვარდე ძლიერსა ამა ქვეყნისას, მსოფლიოს პირველ სახელმწიფოდ ცნობილს, შენდობა სთხოვო და ისე ააწყო საკუთარი ცხოვრება, როგორც მას უნდა.

ირანელმა ხალხმა პირნათლად შეასრულა ისლამური რესპუბლიკის შემქმნელის იმამ ხომეინის ანდერძი: „უნდა იცოდეთ, რომ ვიდრე თქვენ გაკლიათ განვითარებული მრეწველობა, სამოწყალოდ ხელს იშვერთ და მათხოვრულად ცხოვრობთ, თქვენში არ გაიღვიძებს და არ გაიფურჩქნება ინიციატივისა და გამომგონებლობის ძალა. თქვენ ხომ ცხადად და თვალნათლივ დაინახეთ და დარწმუნდით იმაში, რომ ეკონომიკური ბლოკადის შემდგომი მოკლე დროის განმავლობაში მათ, ვისაც ეგონათ, რომ ძალა არ შესწევდათ რაიმე საკუთარის საწარმოებლად და ფაბრიკა-ქარხნების ამუშავების იმედი გადაწურული ჰქონდათ, შეძლეს საქმეში საკუთარი აზრის გამოყენება და თავიანთი არმიისა და ქარხნების მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თუ ამჟამად მთავრობა და არმია ბოიკოტს გამოუცხადებენ აგრესორთა საქონელს და თავიანთ ინიციატივას მეტ გასაქანს მისცემენ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქვეყანა შეძლებს საკუთარი თავის დაკმაყოფილებას და თავს აარიდებს მტრების მიერ გაღებულ მოწყალებას“.

სანქცირებულმა ირანმა ხელები დაიკაპიწა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობით განავითარა საკუთარი ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება – განსაკუთრებით ბირთვული კვლევის საკითხებში, კულტურა, ხელოვნება, მედიცინა. სანქცირებული ისლამური რესპუბლიკა რეგიონის მძლავრ სახელმწიფოდ გადაიქცა, მძლავრი შეიარაღებით, სარაკეტო სისტემებით, ბირთვული ელექტროსადგურით, სამხედრო მშენებლობით.

მძლავრდებოდა ირანი და მძლავრდებოდა მის წინააღმდეგ წარმოებული ანტიირანული კამპანია. ირანმა გააგრძელა ბირთვული კვლევის პროგრამა და შეძლო ურანის იმ დონემდე გამდიდრება, რაც სრულიად საკმარისი იყო ე.წ. ბინძური ბომბის დამზადებისთვის, თუმცა ბომბის დამზადება სულაც არ შედიოდა ისლამური სახელმწიფოს მიზნებში. მისი მიზანი იყო ბირთვული კვლევების სამშვიდობო გზით წარმართვა, მისი მედიცინაში, ენერგეტიკაში გამოყენება. სწორედ ბირთვული კვლევის პროგრამაში მიღწეულმა წარმატებებმა აიძულეს დასავლეთი შეეცვალა საკუთარი დამოკიდებულება ირანის მიმართ.

საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, წელგამართული ირანი ძნელად, მაგრამ მაინც იგერიებდა სანქციებს და ახალ წარმატებას უპირისპირებდა ბირთვულ კვლევაში. აშშ იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ირანთან დაპირისპირება არათუ გამოიწვევდა ირანის ბირთვული კვლევების შეჩერებას, არამედ პირიქით. რჩებოდა ორი გზა – დიპლომატიური მოლაპარაკება ან ირანის ბირთვული კვლევის ობიექტებზე საჰაერო თავდასხმა. სწორედ ამ უკანასკნელის განხორციელებას მოითხოვდა ისრაელი აშშ-გან. პრეზიდენტ ობამას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დაიწყო დიალოგი ირანთან. მართალია, ამ ინიციატივას არ იზიარებდნენ „ნეოკონსერვატორები“ და არც მოკავშირე ისრაელი, არც საუდის არაბეთი. მათგან განსაკუთრებით, ისრაელი გამოირჩევა, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ირანი ტყუის, თვალთმაქცობს და გააგრძელებს ბირთვულ ბომბზე მუშაობას.

ხელშეკრულების მიხედვით, ირანს აქვს უფლება განაგრძოს ბირთვული კვლევები, თუმცა ურანის გამდიდრების ზღვარი 3,5%-ს არ უნდა აცდეს, რაც სრულიად საკმარისია მედიცინის, ენერგეტიკის, სხვა დარგების განვითარებისთვის.

ერთი მხრივ, ირანმა თავისი შეუპოვარი მოქმედებით, შრომით და გარჯით, აიძულა აშშ-ი, დასავლეთი მისხდომოდა მოსალაპარაკებელ მაგიდას. მეორე მხრივ, აშშ-მა, დასავლეთმა აიძულეს ირანი დიალოგის დაწყებაში. ამ ე.წ. ორმაგმა იძულებამ გამოიწვია დაძაბულობის განელება და მსოფლიოს ისეთ რეგიონში ვითარების სასიკეთოდ შეცვლა, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი.

სანქციების გაუქმებას სულმოუთქმელი ელოდა მსოფლიო ბიზნესი. ხუმრობა საქმე როდია ირანის უდიდესი ბაზარი, 80 მილიონამდე მოსახლით? იშვიათად მოიძებნება ქვეყანა, ვისაც ირანის ბაზარზე შესვლის სურვილი არ ჰქონდეს. მდიდარი წიაღისეული, განსაკუთრებით გაზი და ნავთობი, განსწავლული, პროფესიონალი კადრები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, განვითარებული მეცნიერება, მედიცინა, ფართო თანამშრომლობის საწინდარია.

რუსეთმა რა ხანია თადარიგი დაიჭირა და ერთ დროს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა C-300 მიწოდებაში დაშვებული უხეში შეცდომის შემდეგ, ცდილობს გულწრფელად დაანახოს ირანს, რომ მზადაა ფართომასშტაბიანი ურთიერთობებისთვის.

რუსეთთან მიმართებაში ირანის უკმაყოფილება კი ნამდვილად საფუძვლიანი იყო, ვინაიდან პრეზიდენტ მედვედევის დროს, თითქმის ამოქმედებული ხელშეკრულება, მოსკოვმა შეაჩერა, ცხადია, აშშ-ს თხოვნით – უგულებელყო რა C-300-ში ნახევრად გადახდილი თანხა.

ვითარება ძირეულად შეიცვალა პუტინის პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ. გააქტიურდა რუსეთის პოლიტიკა ირანის მიმართულებით. ამ პროცესში რუსული დიპლომატია ნაკლებად იზიარებს ვაშინგტონის ამბიციურ პოზიციებს. სწორედ რუსული პროექტით წარიმართა ვენის შეხვედრები და წარმატებაც სახეზეა.

35 მიმართულებით იწყებს რუსეთი ირანთან თანამშრომლობას, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო დარგში. ირანში დაიწყო C-300 რაკეტსაწინააღმდეგო 4 დივიზიონის განლაგება, რაც თავისთავად მაღლა სწევს ირანის პრესტიჟს ახლო აღმოსავლეთში.

ირანი მზადაა, შეისყიდოს რუსული იარაღი, ააშენოს ბირთვული ელექტროსადგურის ახალი ბლოკები, რუსეთის დახმარებით გადააკეთოს ფორდოს ბირთვული კვლევის ლაბორატორია სამედიცინო საქმიანობისთვის, რუსეთის რკინიგზასთან ერთად განახორციელოს რკინიგზის მშენებლობა-განვითარება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ენერგეტიკის განვითარებას და ა.შ.

თანახმად შეთანხმებისა, ირანი გახდება შანხაის ორგანიზაციის წევრი. ირან-რუსეთის თანამშრომლობას ადგილი აქვს სირიაში. ორივე ქვეყნის პოზიცია სირიასთან მიმართებაში ემთხვევა ერთმანეთს. ირანი მხარს უჭერს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი მიიჩნევენ, რომ სირიის ხელისუფლება, მისი პრეზიდენტი, ხალხმა უნდა აირჩიოს და არა რომელიმე უცხო ქვეყნის ხელისუფლებამ.

ირანი ახალ წელს 21 მარტს აღნიშნავს, მანამდე კი ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება (26 თებერვალს). ერთდროულად მოხდება ექსპერტთა საბჭოს არჩევნები. ექსპერტთა საბჭო ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ორგანოა, რომელიც აირჩევს 86 სასულიერო პირს. ეს ორგანო თავის მხრივ ირჩევს ქვეყნის მეთაურს.

გასული 2015 წელი თანამედროვე ირანის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო, რის შესახებაც უკვე მოგახსენეთ. წლის ბოლოს, ვენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის – ურანის ქვეყნიდან გატანის პროცესიც დაიწყო. ირანიდან სტარტი აიღო გემმა, რომელმაც რუსეთში ჩაიტანა 11 ტონა ნაკლებად გამდიდრებული ურანი.

ექსპერტთა გათვლით, უსანქციო ირანის წლიური ეკონომიკური მატება 3-7% იქნება, რაც დიდი იმედებისა და ამ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის წინაპირობაა.

**წინა სტატიებში ხაზგასმით აღვნიშნავდი ირან-აზერბაიჯანის, ირან-სომხეთის რკინიგზის მაგისტრალების შეერთებაზე, რაც თავისთავად საქართველოს ინტერესსაც უნდა იწვევდეს, რადგანაც მათი სრული ამოქმედება საქართველოს ტერიტორიის გარეშე წარმოუდგენელია. ირანისთვის სანქციების მოხსნამ იქნებ გამოაფხიზლოს საქართველოს ხელისუფლება და ირანთან თანამშრომლობისთვის შესაბამისი ნაბიჯები გადააადგმევინოს?!**

**ჰამლეტ ჟიპაშვილი,**
პოლიგოლოგი.

## დედამიწის ზურგზე

**დანიაში დაარეგისტრირეს ციებ-ცხელება ზიკით დაავადების პირველი შემთხვევა**

**დაავადებული არის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა, ამიტომ ამ შემთხვევაში არ არის საფუძველი შეშფოთებისათვის ინფექციის ტერატოგენური ეფექტის გამო. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ზიკის ციებ-ცხელების შემდგომი გავრცელების რისკი დანიაში არ არის.**

* * *

**ზიკის ვირუსით დაავადების შემთხვევა პირველად აღიარა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც**

**ზიკის ვირუსი მაღალ ტემპერატურას, კონიუნქტივიტს, თავის ტკივილს და ტკივილებს სახსრებში, ანთებით პროცესებს იწვევს, ცალკეულ შემთხვევებში – პირის ღებინებას, კუჭის აშლილობასა და ტკივილებს. ვირუსის დამტარებელია კოღო Aedes aegypti . დაავადების აფეთქებები დარეგისტრირებულია აზიაში, აფრიკაში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში, წყნარი ოკეანის რეგიონში.**

* * *

**გამოძვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სამხედრო სტრატეგია ევროპაში: პრიორიტეტი ენიჭება „რუსული აგრესიის“ შეკავებას**

**როგორც ერთ-ერთი შენაერთის სარდალმა გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა განაცხადა, გასული წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროებმა გასწიეს დიდი მუშაობა ევროპული უშიშროების შენარჩუნებისათვის, ყურადღებას ამახვილებდნენ „რევანშისტულ რუსეთზე“, მასობრივ მიგრაციებსა და ტერორისტებზე, ინარჩუნებდნენ თავიანთ ვალდებულებას მოკავშირეებისა და ნატოში პარტნიორების წინაშე.**

* * *

**კანადა მზადაა, განაახლოს დიალოგი რუსეთთან, რომელიც შეწყდა უკრაინის მოვლენების გამო**

**კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი სტეფან დიონი შეგვახსენებს, რომ ქვეყნები აწარმოებდნენ დიალოგს ცივი ომის დროს: „ახლა ჩვენ თითქმის არანაირი ურთიერთობა აღარა გვაქვს წინა მთავრობის პოლიტიკის გამო. როგორ ეხმარება ეს უკრაინას? როგორ გვეხმარება ეს ჩვენ ინტერესების წინ წაწევაში არქტიკაში?“**

* * *

**ისრაელის პრემიერმა გაეროს გენერალურ მდივანს ბრალი დასდო ტერორიზმის წახალისებაში**

**პან გი მუნმა თავის გამოსვლაში გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების წინაშე ისაუბრა „პალესტინელთა სასოწარკვეთილობის“, „ისრაელის ოკუპაციის ტანჯვის“ და ამგვარი პროცესების წინააღმდეგობის „ბუნებრიობის“ შესახებ.**

* * *

**აშშ-ში თოვლის შტურმის გამო დაღუპულთა რიცხვი 50-ს უახლოვდება**

**გარდაცვალებათა სამი მთავარი მიზეზია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, ინფარქტები დაძაბვისგან თოვლის აღების დროს და მოწამვლები მხუთავი გაზით. 12 შტატში ამისგან უკვე 48 კაცი დაიღუპა.**

# საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

**ქ. თბილისი 2016**

***სარჩევი***

*ხემძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*
*აუდიტორის პასუხისმგებლობა*
*საბიუჯეტო შემოსავლები*
*საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ*
*სალაროს და საბანკო ოპერაციების კანონიერება*
*დებიტორ-კრედიტორები*
*აუდიტორების ხელმოწერა*

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

დასკვნა მომზადებულია საჯარო სექტორის აუდიტორის მურმან საბანაძის (სერტიფიკატის №0014) მიერ. ჩემს მიერ ჩატარებული იქნა საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ხემძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე. აუდიტი ჩატარებულია საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ მოთხოვნათა შერულების მიზნით.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩემს პასუხისმგებლობაში შედის გამოვთქვა მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩემი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მიღებული იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება. აუდიტი აგრეთვე, გულისხმობს ხემძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი მოიცავს 2015 წლის პერიოდს. ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი შეეხება აღნიშნულ პერიოდს.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე სრულყოფილი აზრის გამოსახატავად ჩემს მიერ განხილული და შემოწმებული იქნა შემდეგი საანგარიშგებო დოკუმენტები:

**2. საბიუჯეტო შემოსავლები**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2015 წლის პერიოდში ბიუჯეტიდან დაფინანსების წყარო იყო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლი 15 ივლისის №274/2014 განკარგულება „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2015 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული განკარგულების თანახმად საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას საბიუჯეტო დაფინანსება განესაზღვრა 373 296.0 ლარის ოდენობით (ანგ. ანგარიშის № GE61BG0000000331054601). რაც შეეხება „საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებულ სახსრებს განესაზღვრა 236 724.0 ლარის ოდენობით (ანგ. ანგარიშის № GE61BG0000000331054600).

**2. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ზემოთ აღნიშნული საბიუჯეტო დაფინანსება 2015 წლის პერიოდში ფაქტობრივი და საკასო ხარჯი მოცემულია ქვემოთ აღნიშნულ ცხრილში:

| დასახელება | ფაქტობრივი ხარჯი | საკასო ხარჯი |
|---|---|---|
| სულ ხარჯი მათ შორის | 438 465.0 | 438 465.0 |
| შრომის ანაზღაურება | 409 334.0 | 409 334.0 |
| **საქონელი და მომსახურება მათ შორის** | **25 801.0** | **25 801.0** |
| ოფისის ხარჯები მათ შორის | 20 395.0 | 20 395.0 |
| საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის, დამონტაჟების და მოვლა-შენახვის ხარჯები | 6 551.0 | 6 551.0 |
| კავშირგაბმულობის ხარჯი | 5 490.0 | 5 490.0 |
| კომუნალური ხარჯი | 8 354.0 | 8 354.0 |
| ელექტროენერგიის ხარჯი | 6 298.0 | 6 298.0 |
| წყლის ხარჯი | 1 576.0 | 1 576.0 |
| სხვა კომუნალურის ხარჯი დასუფთავება | 480.0 | 480.0 |
| კვების ხარჯი | 1 375.0 | 1 375.0 |
| ბანკის მომსახურების ხარჯი | 350.0 | 350.0 |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 3 681.0 | 3 681.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1 485.0 | 1 485.0 |
| სხვა ხარჯები ჯარიმები | 1 845.0 | 1 845.0 |
| გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ) | 1 040.0 | 1 040.0 |
| მოსაკრებლები | 805.0 | 805.0 |

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის საბიუჯეტო დაფინანსების (2015 წლის 1 იანვრის ნაშთის გათვალისწინებით 65 430.0 ლარის ოდენობით) ფაქტობრივი და საკასო ხარჯი შეადგენს 438 465.0 ლარს.

რაც შეეხება საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ზემოთ აღნიშნული საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებულ დაფინანსებას (ანგ. ანგარიშის № GE61BG0000000331054600). 2015 წლის პერიოდში ფაქტობრივი და საკასო ხარჯი მოცემულია ქვემოთ აღნიშნულ ცხრილში:

| დასახელება | ფაქტობრივი ხარჯი | საკასო ხარჯი |
|---|---|---|
| **სულ ხარჯი მათ შორის** | **261 374.0** | **261 374.0** |
| მივლინების ხარჯები მათ შორის | 252 159.0 | 252 159.0 |
| მიყვლინება ქვეყნის შიგნით | 82 405.0 | 82 405.0 |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 169 754.0 | 169 754.0 |
| კონფერენციების ხარჯი | 2 860.0 | 2 860.0 |
| ქველმოქმედებისა და სწავლებისათვის | 6 355.0 | 6 355.0 |

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებული დაფინანსების (2015 წლის 1 იანვრის ნაშთის გათვალისწინებით 28 891.0 ლარის ოდენობით) ფაქტობრივი და საკასო ხარჯი შეადგენს 261 374.0 ლარს.

**3.. სალაროს და საბანკო ოპერაციების კანონიერება.**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2015 წლის პერიოდში სალაროს ოპერაციები დაფიქსირებულია 14 შემთხვევაში. კერძოდ ბანკიდან გამოტანილია თანხები, რაც 2015 წლის პერიოდში სულ შეადგენდა 175 914.0 ლარს და გაცემულია 175 660.0 ლარი ძირითადად სამივლინებო ხარჯებისათვის. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხებოდა 254.0 ლარი,

საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს ს/ს „საქართველოს ბანკში“ პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინასების ანგარიშის № GE61BG0000000331054601, სადაც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი ერიცხებოდა 65 430.0 ლარი, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 261.0 ლარი. რაც შეეხება საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებულ დაფინანსების ანგარიშის №GE61BG0000000331054600 სადაც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხებოდა 28 891.0 ლარი, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 3 987.0 ლარი საბანკო ოპერაციების პირველადი დოკუმენტაცია წარმოდგენილია ელექტრონული სასაქონლო ზედებულებით როგორც საქონლის შესყიდვებზე ასევე მომსახურებაზე. საწვავი ეძლევათ თანამშრომლებს კერძო ავტომანქანებზე პარტიის თავმჯდომარის ბრძანების, ან საორგანიზაციო მდივნის ბრძანების თანახმად. ასევე არის წარმოდგენილი პარტიის თავმჯდომარის ბრძანებები მივლინებებზე.

**4. დებიტორ-კრედიტორები.**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედარების აქტის საფუძველზე დებიტორული დავალიანება სულ შეადგენს 870.0 ლარს, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა საბიუჯეტო გადასახადებს. რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებას 2016 წლის 1 იანვრის მდგომარებით არ ფიქსირდება.

**ი/მ „მურმანი საბანაძე“**
**საჯარო სექტორის აუდიტორი**
**მურმან საბანაძე**

◎ როდემდე?

# ვაი ასეთ ძმობა-მეგობრობას

**ამ დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოკუპირებულ ტერიტორიასთან დაკავშირებული მორიგი პროვოკაცია აღკვეთა.**

გუშინ სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე უნდა გამართულიყო ერევნის „არარატისა“ და აფხაზეთში წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ ამხანაგური მატჩი, მაგრამ, როგორც სეპარატისტული რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუსლან აჯინჯალმა ინტერნეტგამოცემა „სპუტნიკ აბხაზიას“ განუცხადა, იგი ქართული საგარეო პოლიტიკური უწყების ძალისხმევით ჩაიშალა:

„არარატის“ წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ამხანაგური შეხვედრის ჩატარება აუკრძალა. როცა მიზეზით დავინტერესდით, გვიპასუხეს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სომხეთის შესაბამის უწყებას აცნობა, რომ სომხური გუნდის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩასვლა არასასურველი იყო. შესაბამისად, „არარატის“ ხელმძღვანელობა საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ ვერ წავიდა“.

სხვათა შორის, მეზობელი სახელმწიფოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს მათთვის საოცნებო შავიზღვისპირეთში გუშინდელთან ერთად კიდევ რამდენიმე ამხანაგური მატჩი და, საერთოდ, საწვრთნელი შეკრება უნდა მოეწყო. გეკითხებით, რა ჰქვია ამას, თუ არა ზურგში ლახვარის ჩაცემა და მტრობა?

რაც შეეხება ახლო წარსულს, შარშან სეპარატისტული აფხაზეთის ნეკრები ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის ნაკრებებს დაუპირისპირდა, ასე რომ, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის უგულებელყოფა, სპორტულ საბურველში გახვეული სახით, უკვე ტენდენციად ჩამოყალიბდა და კაცმა არ იცის, ჩვენს „მოკეთეთა“ მეოხებით როგორ მასშტაბებს მიაღწევს.

ისიც სათქმელია, რომ შარშან ზაფხულში აფხაზეთმა საერთაშორისო ტურნირზე მიწვეულ ფიფასა და უეფას წევრი სლოვაკეთის ბავშვთა გუნდ „ჟილინას“ უმასპინძლა, იქ დღესაც ვარჯიშობს ხაბაროვსკის „სკა ენერგია“, ხოლო წლეულს არაღიარებულ ქვეყნებს შორის მსოფლიოს ჩემპონატი უნდა მიიღოს 500-მდე ფეხბურთელის მონაწილეობით.

თუ ვინმე ვერ ხვდება, მოვახსენებთ, რომ მომავალი ფორუმის რეალური ორგანიზატორი რუსეთია, ყოველივე ზემოთქმული კი სათანადო რეაგირებას მოითხოვს, რადგან არაღიარებული ქვეყნების ნაკრებების წევრებს აღიარებული სახელმწიფოების პასპორტები აქვთ და ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან შესაბამისი მუშაობაა საჭირო.

**ლევან კობიაშვილი (სფფ-ს პრეზიდენტი):**

„ჯერ უნდა დადასტურდეს ინფორმაცია, რამდენად რეალურია აფხაზეთში აღნიშნული ჩემპიონატის ჩატარება. საკითხს შევისწავლით და საჭირო ცნობების მოპოვების შემდეგ რეაგირებას მოვახდენთ. რაც შეეხება „არარატის“ აფხაზეთში მომზადებას, უეფასა და ფიფაში გასაგზავნ წერილს ვამზადებთ, რომ მომავალში მსგავსი პრეცედენტები გამოირიცხოს“.

**გია პლატონიშვილი**

◎ ფეხბურთი

# სლოვაკურ რელსებზე

**ძართულ ფეხბურთს ისეთი წელიწადი დაუდგა, სამწვრთნელო კარუსელს რომ უწოდებ კაცი. თავად განსაჯეთ, თუ არ გჯერათ: ჯერ ეროვნული ნაკრების თავკაც კახი ცხადაძესთან სკანდალურად გაწყვეტილი კონტრაქტის პერიპეტიები ვერ გადაუხარშავს ბოლომდე გულშემატკივარს, რომ უკვე თბილისის „დინამოში“ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე გვიწევს საუბარი.**

ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებლად დანიშნული გია გეგუჩაძის ნაცვლად გუშინ კლუბის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ მედიას „თეთრ-ლურჯთა“ ახალი სლოვაკი მესაჭე, 53 წლის იურაი იარაბეკი წარუდგინა, რომელთაც გვერდს მოწვეული სპეციალისტის წინამორბედიც უმშვენებდა.

„იასლოვსკე ჰობუნიცე“ (2008-2013) და ტრნავას „სპარტაკი“ (2013-2015 წლები) — ასეთია იურაი იარაბეკის სამწვრთნელო კარიერის უმთავრესი ფურცლები. თბილისელებთან ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მან განაცხადა:

„ასეთ კლუბში მუშაობაზე უარის თქმა არ შემეძლო. რა თქმა უნდა, ჩემს გადაწყვეტილებაზე გავლენა „დინამოს“ პირობებმა და ასევე ფეხბურთელებმა იქონია, რომლებიც ძალიან ნიჭიერები და მოტივირებულები არიან.

რაც შეეხება კლუბის მიზნებს, მისთვის მისაღები მხოლოდ ჩემპიონობაა. საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ვუყურე. ყველა თამაშის მოგება იოლი არ იქნება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

ტრნავას „სპარტაკთან“ ერთად ევროპის ლიგაზე მოვხვდით, მაგრამ „დინამოსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა მსურს. ყველანაირად ვეცდებით, რომ ეს მოხდეს — კლუბს ყველანაირი პირობა აქვს ევროთასებზე გასაღწევად.

რაც შეეხება ტრანსფერებს, ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა, კვალიფიციური ფეხბურთელების ჩამოყვანას შევეცდები“.

**გიორგი ზოთაძე**

◎ მძლეოსნობა

# ჭაბუკებმა უფროსებს ბოლი არ დაუდეს

**4-6 თებერვალს თბილისის „სპორტის დედოფლის“ სასახლე მძლეოსანთა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ერთგვარი რეპეტიცია იყო დედაქალაქის მერიის ხელშეწყობით გამართული თბილისის ზამთრის ღია ჩემპიონატი.** სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის 200-ზე მეტი წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. მათ შორის მრავლად იყვნენ ჭაბუკებიც, რომლებმაც ტოლი არ დაუდეს უფროსებს. მაგალითად, 15 წლის საბა სოსელიამ ჭოკით ხტომაში 4.15 მეტრი დაძლია, ოქროს მედალი დაიმსახურა და ჭაბუკებში საქართველოს რეკორდიც დაამყარა. იყოჩაღა სამხტომელმა ლაშა თორღვაიძემაც — 16.62 მეტრით ჩემპიონობა მოიპოვა და პირადი მიღწევაც გაუმჯობესა. იგი გუშინ ბაქოში გაემგზავრა და 29 იანვარს იქაურ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

რაც შეეხება თბილისის ზამთრის ღია ჩემპიონატის შედეგებს, ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

**ქალები. 60 მ.** სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 8,15), **200 მ.** სალომე მენთეშაშვილი (27,54), **400 მ.** სალომე მენთეშაშვილი (1.01,66), **800 მ.** ნინა ცერცვაძე (ორივე-თბილისი, 2.26,43), **1500 მ.** თამთა ღვინიანიძე (ვანი, 5.16,95), **3000 მ.** თამთა ღვინიანიძე (12.20,63), **სიმაღლეზე ხტომა.** ვიქტორია შიშლოვა (155), **ჭოკით ხტომა.** სალომე ინჯგია (3,00), **სიგრძეზე ხტომა.** ირინა მიკიტუკი (5,51), **სამხტომი.** ირინა მიკიტუკი (12,33), **ბირთვი.** სალომე თურმანიძე (10,37), **ბადრო.** სალომე თურმანიძე (32,68). **შუბი.** ლალი კალაძე 37,51), **ურო.** ანა გაბიევა (ყველა-თბილისი, 37,75).

**ვაჟები. 60 მ.** ჯიმშერ მურადოვი (თბილისი, 6,96), **60 მ/თარჯებით.** თემურ ცირამუა (ჩხოროწყუ, 8,88), **200 მ.** ნიკა რურუა (24,10), **400 მ.** ნიკა კარტავცევი (49,58), **800 მ.** ნიკა ხოჭოლავა (სამივე-თბილისი, 2.01,30), **1500 მ.** საბა ხვიჩავა (ფოთი-თბილისი, 4.22,79), **3000 მ.** თემურ ბაიკეევი (თბილისი, 8.48,07), **5000 მ.** გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 15.46,90), **სიმაღლეზე ხტომა.** ზურაბ მიქაია (თბილისი, 180), **ჭოკით ხტომა.** საბა სოსელია (თბილისი-ზუგდიდი, 4,15), **სიგრძეზე ხტომა.** ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ, 7,56), **სამხტომი.** ლაშა თორღვაიძე (16,62), **ბირთვი.** ბადრი ქიმაძე (14,16), **ბადრო.** თემურ აბულაშვილი (სამივე-თბილისი, 47,19), **შუბი.** გიორგი გურგენიძე (მარტვილი, 48,23), **ურო.** გოგა ჭიხვარია (თბილისი, 59,14),.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ლაშა თორღვაიძე ასპარეზობისას.**

◎ ჭადრაკი

# დავით ჯოჯუამ ფინალიც მოიგო

**საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 75-ე ეროვნული ჩემპიონატის წინასწარ შეხვედრებში სამ-სამი გამარჯვების შემდეგ ფინალში დიდოსტატები — დავით ჯოჯუა და თორნიკე სანიკიძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.** მინი-მატჩის ორივე კლასიკური პარტია ყაიმით დამთავრდა. უძლიერესის გამოსავლენად დაინიშნა ორი 15-წუთიანი შეხვედრა, რომლებიც ჯოჯუამ მოიგო და პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა (2013 და 2015 წლების ეროვნულ ჩემპიონატებში მან მესამე ადგილები დაიკავა). ვერცხლის მედალი სანიკიძეს ხვდა. „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში მერაბ გაგუნაშვილმა ლელა ჯავახიშვილი დაამარცხა — 2:0.

**გივი გაგუა**

**სურათზე: მარცხნიდან — მერაბ გაგუნაშვილი, დავით ჯოჯუა, თორნიკე სანიკიძე.**

◎ ინტერნეტიდან

# დანიელამ გარი იუარა

**იმო დრო, როდესაც გარი ლინეკერი ბრიტთა კუნძულზე ყველაზე პოპულარული ჯეელი იყო და მისი გატანილი გოლები სიამაყესა და ურჟოლვას ჰგვრიდა სრულიად ინგლისს და მის შემოგარენს. ახლა მისტერ გარი ოდენ ნაკლებად ცნობილი სპორტული წამყვანია და საზოგადოებას თავს პირადი ცხოვრებითღა თუ შეახსენებს ხოლმე.**

ამ ბოლო დროს გარი ლინეკერის სახელი ბულვარულ მედიაში იმის გამო გაჟღერდა, რომ ინგლისელ ვეტერან მობურთალს თურმე გულისსწორი, მოდელი დანიელა ბუქსი გაშორდა და როგორც „ყვითელი“ მოკალმეები წერენ, ამ განშორების მიზეზი ის იყო, რომ დანიელას გარი უბრალოდ ყელში ამოუვიდა.

წლების მდინარებას რა ვუთხარით, თორემ აბა ის სამართალია, რომ გარი ლინეკერისთანა ყოჩაღ მობურთალს იმდენად გადაეფარა დავიწყების ფარდა, რომ სატრფომაც კი უგანა? თორემ, ძველი და ნეტარხსენებული დრო რომ იყოს, ამისთანა კაცს ქალების რიგი ექნებოდა დამდგარი. ჟამმა უნდობარმა კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ ჩოგბურთი

# ენდი ნახევარფინალშია

**ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში ენდი მარეიმ დავიდ ფერერი 6:3, 6:7, 6:2, 6:3 დაამარცხა. შეხვედრა სამ საათსა და 25 წუთს გაგრძელდა. ენდიმ მეორე სეტში ტაი-ბრეიკი 5:7 წააგო, ხოლო დანარჩენ სამ სეტში ბრიტანელი დომინირებდა.**



შოტლანდიელმა 11 ესი ჩააწოდა, 8 ორმაგი შეცდომა დაუშვა და 13 შესაძლებლიდან 6 ბრეიკი შეასრულა.

მარეი ნახევარფინალში რაონიჩ-მონფილსის გამარჯვებულს შეხვდება.

**კოგა კოგახიძე**

◎ კალათბურთი

# „დალასმა“ ფაჩულიას გარეშე იმარჯვა

**ზაზა ფაჩულიამ ფეხის ტრავმის გამო ზედიზედ მეორე შეხვედრა გამოტოვა, მისმა „დალასმა“ კი „ლოს ანჟელეს ლეიკერზი“ სტუმრად 92:90 დაამარცხა.**

ამერიკული მედიის ცნობით, ზაზას ტრავმა სერიოზული არ არის და ქართველი კალათბურთელი გუნდს რამდენიმე დღეში დაუბრუნდება. „ლეიკერზთან“ მატჩში ფაჩულია თავის გუნდს „დალას მავერიქსის“ მფლობელ მარკ კუბანთან ერთად ტრიბუნიდან გულშემატკივრობდა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, 90:90-ზე ბოლო წამზე გამარჯვების მომტანი 2-ქულიანი დირკ ნოვიცკიმ ჩააგდო. მატჩში ყველაზე მეტი 18-18 ქულა ტეხასელთა გამთამაშებელმა ჯეი ჯეი ბარეამ და კალიფორნიელმა კლარკსონმა ჩააგდეს.

„დალასი“ 26 მოგებით და 21 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ყოფა

# სხვათაგან მართული პროტესტი, თუ ღორის სალაფავი?

## ვინ აბუნტებს ბენეფიციარებს?

**ზუგდიდში** მოქმედი უფასო სასადილოს ბენეფიციარები ახალი კომპანიის მომსახურებით უკმაყოფილონი არიან. მათი მტკიცებით, მას შემდეგ, რაც სასადილოს ხელმძღვანელობა შეიცვალა, არა აქვთ საკმარისი საკვები და ის, რაც მიეწოდებათ, უხარისხოა. უკმაყოფილო ბენეფიციარებსა და სასადილოს მთავარ მზარეულს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა.

**„საკვები კარგად გაგვიკეთონ. ჩვენ ღორები ხომ არ ვართ, კარგ მზარეულს ვითხოვთ“, — ამბობს მურთაზ ხუნწარია.**

**„საძმელი არ მიმაძვს. მარტო პური მიმაძვს დღეს, იმიტომ რომ არ არის არაფერი სხვა“, — გვითხრა ნინო ჯაყონიამ.**

მზარეულ **გულისა ჯალაღონიას** თქმით, რეალურად სასადილოში მენიუ არ შეცვლილა და მანამდე საკვებით უკმაყოფილება არც ერთ ბენეფიციარს არ გამოუთქვამს. მისი მტკიცებით, სასადილოს მომხმარებელთა დღევანდელი პროტესტი მიზანმიმართულად მოეწყო, რადგან სურთ, ძველი კომპანია დაბრუნდეს:

**„ჩემი ყურით მესმოდა, საძმელს როცა ვაკეთებდი, ავაბუნტოთ ეს ხალხი, ავაჯანყოთო“.**

უფასო სასადილოს მომსახურებით უკმაყოფილო მოქალაქეებს ქალაქ ზუგდიდის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და დევნილთა სამსახურის წარმომადგენლები გაესაუბრნენ. სამსახურის უფროს **თამარ სოსელიას** განცხადებით, მისი სამსახური სასადილოს დროდადრო ამოწმებს და რაიმე დარღვევები, საკვების უკმარისობის თვალსაზრისით, არ შეუმჩნევია.

მერიის თანამშრომლების პარალელურად, უფასო სასადილოს მომხმარებლებს ქალაქის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ანა წითლიძე გაესაუბრა.

**„ძირითადი ვალდებულება აქვს იმ კომპანიას, რომელმაც მოიგო ეს ტენდერი, სწორედ მან უნდა უზრუნველყოს ყველა ამ პრობლემის მოგვარება. ჩვენ მერიასთან ერთად შევხვდებით ამ კომპანიას და ვიფიქრებთ იმაზე, როგორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა“,** — განაცხადა ანა წითლიძემ.

თავის მხრივ, ბენეფიციარების ყველა ბრალდებას უარყოფენ შპს „ეფექტში“, რომელმაც ობიექტი დეკემბერში, მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ჩაიბარა. შპს-ს წარმომადგენლის **მალხაზ იანთბელიძის** განცხადებით, მათი კომპანია ხელშეკრულებაში გაწერილ ყველა ვალდებულებას ზედმიწევნით ასრულებს და ამაში დასარწმუნებლად ნებისმიერ მსურველს სასადილოში ეპატიჟება. მანვე აღნიშნა, რომ მუშაობის დაწყებისთანავე სასადილოს ყველა, 230 ბენეფიციარი არ აკითხავდა, ამიტომ იყო შესაძლებლობა მათთვის დაწესებული ულუფა გაეზარდათ:

**„როცა უკვე გადავედით იმ ნორმების დაცვაზე, რაც გათვალისწინებულია ტენდერის მიხედვით, და, ტენდერის თანახმად, ერთ კაცზე არის 200 გრამი პური და 200 გრამი სხვა საკვები: პირველი, მეორე, მესამე, — ეტყობა, ამის გამო გაღიზიანდნენ და იფიქრეს, რომ, აი, პირველად უნდოდათ ჩვენთვის თავის მოწონება, მაშინ ბევრი დაგვირიგეს და ახლა ცოტას გვირიგებენო. უბრალოდ, პირველად ბევრი რჩებოდა. კანონით გათვალისწინებული ნორმა იქნება აბსოლუტურად დაცული. ამის პირობას ვაძლევ ყველა ბენეფიციარს და ყველა თქვენგანს“.**

უფასო სასადილოში კვებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსაზღვრულია 102 ათას 999 ლარი, რაც დღეში თითო ბენეფიციარზე, დაახლოებით, ერთ ლარსა და 32 თეთრს შეადგენს. სასადილოს მომსახურებით 230 ბენეფიციარი სარგებლობს.

**თამარ ზანთარაია**
**რადიო „თავისუფლება“**

---

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მოღვაწე, ქ. ფოთისა და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის პროფესიული კავშირის მიმართ ამაგდარი პიროვნება

**ნინო ლაკია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოების სახელით:

**სპარტაკ გოგინავა, კაკო ცხადაია, ჯიმი ძვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, ჯემალ კვირტია, გულთაზ ლაბარტყავა, ლია წურწუმია, თენგიზ უჩანეიშვილი, პეტრე ბერაია, ბაკურ გულუა, ალეკო კაკულია, იმედო შურღაია, ომარ შურღაია, რეზო ჩხარტიშვილი, რეზო გაგუა, ომარ ნაცვლიშვილი, იაშა კოდუა, ნოდარ დგებუაძე, ნოშრევან თავართქილაძე, ზაურ მიქიაშვილი, გია სვანიძე, რომან მელია, კობა შუბლაძე, ბესო ძორძია, ემზარ ბერძენიშვილი, დათო ფარღალავა, ვალერი წულაია, ზურაბ ნადარეიშვილი, ვახტანგ კემულარია, ვახტანგ ჩიქოვანი, ირაკლი მოწერელია.**

---

◎ ინფორმაცია

## დაკავებული არიან უაქციზო სიგარეტის რეალიზაციისთვის

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-რეალიზაციის ფაქტზე, მოქალაქეები ნანული სუხაშვილი და რობერტ იაკობიშვილი დააკავეს.**

**საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელეს დიდი ოდენობით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული უაქციზო სიგარეტის რეალიზაცია.**

## ტრაგედია კლდის ჩამოშლამ გამოიწვია

**რუსთავის გზატკეცილზე კლდის ნაწილის ჩამოშლის შედეგად 24 წლის მამაკაცი დაიღუპა.**

**როგორც მედიანიუსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, მამაკაცი ქვის საამქროში მუშაობდა და შემთხვევის დროს თავის სამუშაოს ასრულებდა.**

**„ამ დროს მას კლდიდან ჩამოვარდნილი ქვები დაეცა და ადგილზე დაიღუპა“, — აცხადებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში.**

**უწყების ინფორმაციითვე, სხვა დაშავებულები არ არიან.**

**რეკლამა** მაჩაბლის ქ. №7.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**293-37-87**

◎ ამინდი

## დიდთოვლობამ აჭარაში ზოგი აზარალა, ზოგიც ახეირა

**აჭარაში დიდთოვლობამ გარკვეული პრობლემები შეუქმნა სასტუმრო ბიზნესსაც. სასტუმროთა ნაწილი განმარტავს, რომ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის დროებითი დახურვის გამო, სასტუმრომ სტუმრების მიღება ვეღარ მოახერხა, რამაც ისინი ფინანსურადაც აზარალა.**

სასტუმრო Hilton Batumi -ში აცხადებენ, რომ ბოლო 3 დღის განმავლობაში სასტუმროში რამდენიმე კონფერენცია უნდა გამართულიყო, მათ შორის ერთი კონფერენცია საერთაშორისო მნიშვნელობის იყო და ბათუმი-სტამბოლის რეისის გაუქმების გამო სტუმრებმა ბათუმში ჩაღწევა და მით უმეტეს Hilton Batumi-ში განთავსება ვეღარ მოახერხეს. საერთო ჯამში მხოლოდ ამ კონფერენციის ფარგლებში სასტუმროს 120 სასტუმრო ნომერზე გაუუქმდა ჯავშანი.

დიდთოვლობამ სტუმრები შეუმცირა Leogrand Hotel-საც, სადაც განმარტავენ, რომ ცუდი ამინდის, აეროპორტის დროებით დახურვისა და ავიარეისების შეუსრულებლობის გამო სასტუმროს ჯავშნის 25 %-ი გაუუქმდა. Leogrand Hotel-ის მენეჯმენტი აცხადებს, რომ გაუქმებული ავიარეისების გამო, სასტუმროს სტუმრების ნაწილმა ბათუმის დატოვება ვერ შეძლო და ისევ სასტუმროში მოუწიათ დარჩენა.

სამაგიეროდ, სტუმრები არ შემცირებია სასტუმრო „რადისონს“, სადაც განმარტავენ, რომ დიდთოვლობის გამო სასტუმროში სტუმრების მიღება არ შეფერხებულა.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში კი განმარტავენ, რომ აეროპორტის ტერიტორია თოვლისგან ინტენსიურად იწმინდება, იწმინდება ასევე ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და 28 იანვრიდან აეროპორტი ფუნქციონირებას განაახლებს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში განმარტავენ, რომ მედალს ორი მხარე აქვს და დიდთოვლობა, რომელიც ამ დროისათვის აჭარაშია, რეგიონის სამთო-სათხილამურო კურორტებს ტურისტულ სეზონს გაუხანგრძლივებს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მამუკა ბერძენიშვილი განმარტავს, რომ ამ პერიოდში ტურისტულ ბიზნესს ზარალი ნაკლებად ადგება, რადგანაც აჭარა მაინც საზღვაო მიმართულებაა და მიმდინარე პერიოდში ტურისტული ნაკადების სიმრავლეს რეგიონი არ განიცდის.

„გუშინ აეროპორტი დახურული იყო და სწორედ ესეთი ფაქტორები უშლის ხელს იმ ნაწილი ტურისტების მიღებას, რომელიც შესაძლოა, ჩვენ გაგვაჩნდა ბიზნეს-ტურისტის, ან სათამაშო ბიზნესის ტურისტის სახით, ანუ ეს მიმართულება შესაძლოა, მართლაც მოექცა ამ ბუნებრივი კლიმატური პირობების გავლენის ქვეშ და შესაძლოა, ინდუსტრიის ნაწილი ვერ ღებულობდეს იმდენ შემოსავალს, რომელიც შესაძლოა, კარგი მეტეოროლოგიური პირობების დროს მიეღო.

მეორეს მხრივ, ეს კარგია ჩვენი სამთო-სათხილამურო კურორტებისათვის. გზები იწმინდება. შესაბამისად, სამთო-სათხილამურო კურორტებმა მიიღეს ახალი და უხვი თოვლი და მსგავსი უხვი თოვლი არის გარანტია იმისა, რომ ეს კურორტები უფრო მეტხანს იმუშავებს“, — აცხადებს მამუკა ბერძენიშვილი.

მისივე განმარტებით, თუკი ამ კურორტებზე თოვლი თებერვლის ბოლომდე, ან მარტის შუა რიცხვებამდე დნებოდა, „ახლა შესაძლებელია, რომ ეს თოვლი უკვე მარტის ბოლომდე, ან აპრილის შუა რიცხვებამდე გადნეს. ამ შემთხვევაშიც მედალს ორი მხარე აქვს“.

## თბილისში ყინვები მოიმატებს

**გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მომდევნო დღეების განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით ყინვა შენარჩუნდება.** 27 იანვარს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში გამოიდარა, მაგრამ გაძლიერდა ყინვა. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ღამის მინიმალური ტემპერატურა მოსალოდნელია -7, -2, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში -12, -7. თბილისში ჰაერის ტემპერატურა იქნება - 9, -7 გრადუსი. დღის მაქსიმალური ტემპერატურა დაბლობსა და ბარში იქნება -3, +2 გრადუსი. 28-31 იანვარს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონში მოსალოდნელია მცირე ნალექი. 29 იანვრიდან ყინვა შესუსტდება.

# ერის სიმხნევის წყარო

**83-ისა გახდა, მაგრამ დღეს აც არაფრის ეშინია, რადგანაც „ტანკისტი იყო ომამდე“!... საქართველოს ისტორიის, კულტურის, ტრადიციების გადასარჩენად ერთხანს პოლიტიკაშიც გაერია. ავადსახსენებელი 9 აპრილის ადისტობაც და ანტიქართველობაც დასწამეს, მაგრამ მის შესანატრ ნიჭიერებას, ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილ გენიას ვერაფერი დააკლეს.**

**შემდეგ რუს ინტელიგენციასაც მაგრად მოსცხო აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და არქიტექტორ ნოდარ მგალობლიშვილის კვალდაკვალ... მართლაც დაუვიწყარი იყო ამ სამი ტვინით გაპენტილი ქართველის უზადო რუსულით როდიონოვის მსგავსი რუსეთელი აგრესორების ზედ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მოთხრამონიორწყლება... მერე ანტიზვიპოლიტიკა ადამიანს სპობს, მაგრამ მე გადავრჩი, უფალმა გადამარჩინა, ხელოვნების სიყვარულმა გადამარჩინა, ამბობს დღეს ლეგენდარული რეჟისორი და სიხარულის ცრემლნარევ მადლობას უხდის ქართველ ხალხს, რომელიც კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ შეიკრიბა 26 იანვრის მართლაც გაყინულ საღამოს. თბილი(ს)ქალაქისთვის უჩვეულო ყინვები დაიჭირა წლეულს, მაგრამ ეს საღამო ელდარ შენგელაიას ოთხმოცდამესამე დაბადების დღემ და მისი უკვდავი ფილმების დაუვიწყარმა ფრაგმენტებმა გაათბო.**

ამიერიდან დედისა და შვილის, ნატოსა და ელდარის ვარსკვლავები ერთად იკიაფებენ დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე.

„თეთრი ქარავანი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მიქელა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები“,... მართლაც „დაუჯერებელი ამბავია“ ის, რომ ელდარ შენგელაიას ამდენ ხანს „ვარსკვლავი“ არ ჰქონდა, მართლაც დაუჯერებელი ფაქტია, რომ ერთ კაცს ამდენი შედევრის შექმნა შეუძლია, ხალხს კი საყოველთაო სიყვარულის გამოსახატავად, დიდი მეოცესაუკუნელის ღვაწლის ასაღიარებლად გრძნობების „ამოფრქვევა“ ჯერაც ძალუძს.

ჭეშმარიტად სახალხო ოჯახის კიდევ ერთი სახალხო რეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ეროვნულად მოაზროვნე და წუთისოფლის გამლამაზებელი მამულიშვილი ელდარ შენგელაია ახალი ფილმის გადასაღებად ემზადება, წლები არ აშინებს, რადგანაც... „ტანკისტი იყო ომამდე“!...

ხელოვნების (ამ შემთხვევაში კინოხელოვნების) მიზანი უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას სიმხნევე.

ელდარ შენგელაიას შემოქმედება ერის, ქვეყნის, ახალგაზრდა თაობის სიმხნევის წყაროა.

**სპარტაკ ქობულია**

„შერეკილები“

„არაჩვეულებრივი გამოფენა“

„ცისფერი მთები“

## ◎ გაუხუნური ქუთაისური

**ქუთაისელმა** ლას ვეგასის კაზინოში მეორე ქუთაისელი ნახა.

— აუ, ანზორია, რაფრა გამიხარდა შენი ნახვა! რომელ სასტუმროში გაჩერდი, სიმონ?

— ჯერ არ ვიცი, რაცხა ოთხი დღეა, რაც აქანე ჩამევედი.

* * *

— **ჯონდოია**, ხედავ იმ კაცს, შლაპა რომ ახურავს? - ეკითხება ქუთაისელი მეგობარს.

— იქ სამი კაცია და სამივეს შლაპა ახურავს.

— იგი, მოკასინები რომ აცვია.

— სამივეს მოკასინები აცვია.

გაბრაზებული ქუთაისელი იარაღს იღებს და ორს ტვინს გაასხმევინებს.

— ჯონდოია, ახლა ხომ ხედავ იმ კაცს, ცოცხალი რომ დარჩა?

— კი, ვხედავ.

— ხოდა, მაი ტიპი არ მევასება მე, სიმონ!

* * *

**საფეიჩხიაზე** პარიკმახერი კლიენტს პარსავს.

— რაია, ბუჯო, აი, შენი ძაღლი სულ რომ ხელებში გიყურებს? — ეკითხება კლიენტი.

— რაია და ყურს უცდის, უყვარს ყურები, — უპასუხა პარიკმახერმა.

* * *

**ქუთაისელ** სასიძოს სასიმამრო უყვირის:

— რაია ეგი ახლა, სიძეობას მიპირობ და ორ ნაბიჯზე ვერ უნდა გენდოს კაცი?!

— რა იყო, ბატონო?

— რამდენჯერ გითხარი, ჩემ გოგოს რომ წეიყვან სასეირნოდ, 12 საათს არ გადააცილო მოყვანა-მეთქი?

— მერე რაია, ათი წუთი დავაგვიანეთ.

— ათი წუთი იქით იყოს, ვინ მომითრიე აქანე?! ეგია ჩემი გოგო?

* * *

— **რაია**, ბუჯო, მაგ ზებრის ტყავს რომ დაათრევ სულ, გედეირიე, შე უპატრონო? — ეჩხუბება ქუთაისელი მეგობარს.

— ამას, სიმონ, გავაფენ ქუჩაში და საცა მინდა, იქინე მევიწყობ გადასასვლელს.

* * *

— **ბრა**, ძმაო, ზოგი არც ცოცხალი უქნია ღმერთს და არც მკვდარი!

— რაზე ამბობ?

— რაზე, სიმონ და, გოჩაიას სიდედრის გასვენებაზე ვიყავი. იმნაირი მახინჯი მკვდარი ჯერ არ მინახავს, ჭირისუფლებს გამოსვლა რცხვენოდათ და კუხნიდან ტიროდნენ.

**გამოიწერეთ:**
**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

**საქართველოს რესპუბლიკა**
SAKARTVELOS RESPUBLIKA
**მაჩაბლის ქ. №7**
ინდექსი 66434

**მთავარი რედაქტორი**
**სპარტაკ ქობულია**
**293-37-87**
**599 36-00-35**

**პასუხისმგებელი რედაქტორები:**
**გურამ გოგიაშვილი**
**599 53-76-16;**
**ალეკო ასლანიშვილი**
**599 56-81-86;**
**რუსლან რუსია**
**599 17-21-21;**

**პასუხისმგებელი მდივანი**
**მამუკა ვაშაკიძე**
**514 33-33-24**

**გამომცემლები:**
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**
**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

*გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!*